ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2022 წელი, 21 ოქტომბერი, №11 (6556)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი

სიმბოლური საჩუქრები გადასცეს

28 სექტემბერს, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილი შილდელ ბავშვებს შეხვდნენ.

სოფელ შილდის ტყეში გაჩენილი ხანძრის დროს მალხაზ თეთრაშვილი და თემურ ნიკოლოზიშვილი, საკუთარი ინიციატივით, ყოველდღიურად სოფლიდან რამდენიმე კილომეტრს ფეხით გადიოდნენ და ზურგჩანთებით ცივი წყალი მიჰქონდათ მეხანძრე-მაშველებისა და ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებისათვის.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა შილდელ ახალგაზრდებს, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და გამოჩენილი ინიციატივისათვის, მადლობა პირადად გადაუხადეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

შეხვედრას ყვარლის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან ჭიპაშვილი და სოფელ შილდის საჯარო სკოლის დირექტორი ზაირა არევაძე ესწრებოდნენ.

ილიას გორაზე სარეკრეაციო სივრცის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილეები ილია ბეგიაშვილი და მზია გიორგობიანი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, გივი მეტრეველი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტს ადგილზე გაეცნენ.

ქ. ყვარელში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში (PIRDP) ილიას გორის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სარეკრეაციო სივრცის მოწყობას, ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაციას, საფეხმავლო ბილიკების, საპარკინგე და კვების ობიექტების მოწყობას. პროექტის ღირებულება შედგენს 1 704 000 ლარს.

პროექტის დასრულების შემდეგ, ადგილობრივებისა და ჩამოსული ვიზიტორებისთვის ყვარლის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი, თანამედროვე სტანდარტების სარეკრეაციო სივრცე გაჩნდება.

ეს უდიდესი სიწმინდე სრულიად საქართველოს მოგვიწოდებს: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, რომელიც საუკუნეებს ითვლის, თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ გადაკეთებულა, მტრების შემოსევების დროს დარბეულა, დაზიანებულა, შეულახავთ მისი სიწმინდეები და, მიუხედავად ამისა, ის მაინც დგას ამაყად, თავისი დიდებულებით, „როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“. იგი ქართული ეკლესიის სულიერი სიძლიერისა და ერთიანობის სიმბოლოა, დიდი ქვის კიდობანია, ქვის „ლუსკუმაა“, რომელიც ამ ორი, ძველი და ახალი აღთქმის სიწმინდეების – წმინდა ილია თეზბიტელის ხალენისა (მოსასხამისა) და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მოქსოვილი მაცხოვრის

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

ტრავმირებულმა ზურაბმა ძალისხმევა არ დაიშურა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა

მიმდინარე წლის 14-19 სექტემბერს, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

საქართველოს ნაკრების ღირსებას 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში იცავდა, ამავე წონაში, მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზურაბ იაკობიშვილი.

ზურაბმა წარმატებით დაიწყო ასპარეზობა, პირველ შეხვედრაში დაამარცხა მონღოლი მოჭიდავე, მეორე შეხვედრაში – თურქი სპორტსმენი.

სამწუხაროდ, თურქ მოჭიდავესთან შეხვედრის მიწურულს მიიღო ტრავმა, ნახევარფინალში ტრავმირებულმა იჭიდავა და შეხვედრა დათმო ამერიკელ მოჭიდავესთან. მესამე ადგილისათვის შეხვედრაში კი დაამარცხა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვიცე ჩემპიონი ანდრიასიანი და დაეუფლა ბრინჯაოს მედალს.

რობერტ დინგაშვილი ვერცხლის მედალს დაეუფლა

30 სექტემბერს თურქეთის ქალაქ სამსუნში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი (მსოფლიო თასი) სტუდენტთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც წარმატებით იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილმა რობერტ დინგაშვილმა.

57 კილოგრამ წონით კატეგორიაში რობერტმა ყველა შეხვედრა მოიგო, დათმო მხოლოდ ფინალური შეხვედრა ირანელ მოჭიდავესთან და ღირსეულად მოიპოვა ვერცხლის მედალი.

ყვარლის მერია და სასპორტო სკოლა ულოცავს ჩვენს მოჭიდავეებს და წარმატებებს უსურვებს შემდგომ შეჯიბრებებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბიც და რობერტიც მწვრთნელების გივი მეტრეველის, ვანო ჭანტურიძის აღზრდილები არიან.

ფუტკრის დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები და პრეპარატები

ფერმერები კარგად უნდა აცნობიერებდნენ, რომ მეფუტკრეობის დარგის რენტაბელობის ასამაღლებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფუტკრის დაავადებების ცოდნას და მათთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების გატარებას.

ფუტკრის დაავადებათა კლასიფიკაცია დაყოფილია ეთიოლოგიის ანუ გამომწვევი მიზეზის მიხედვით – გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებად.

გადამდები დაავადებები თავის მხრივ იყოფა ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებებად.

ინფექციური დაავადებების გამომწვევები არიან მცენარეული წარმოშობის მიკროორგანიზმები: ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები, ინვაზიური დაავედებებისა კი ცხოველური წარმოშობის მიკრო და მაკრო ორგანიზმები.

არაგადამდები ჯგუფის დაავადებები გამოწვეულია ფუტკრის არასწორი მოვლა-შენახვისა და არასრულფასოვანი და უხარისხო საკვებით კვების შემთხვევაში.

ჯანმრთელ საფუტკრეში დაავადების აღმძვრელი შეიძლება მოხვდეს:

- უცნო ნაყართან ერთად;
- მამალი ფუტკრებიდან;
- სხვა საფუტკრის ფუტკრებთან კონტაქტით;
- მეფუტკრეობის ინვენტარით;
- მეფუტკრის ინფექციის აღმძვრელით დაბინძურებული ხელებით;
- მწერებით, ხოჭოებით, ჭიანჭველებით და სხვა.

სწორედ ამიტომ, აუცილებელია პროფილაქტიკურ-ჰიგიენური ღონისძიებების დაცვა და ჯანმრთელი ფუტკრის ოჯახების ყოლა საფუტკრეში!

საქართველოში ფუტკრის გავრცელებული დაავადებებიდან დღესდღეობით აქტუალურია:

ინვაზიურიდან – ვაროატოზი, ნოზემატოზი, აკარაპიდოზი;

ინფექციურიდან – ამერიკული და ევროპული სიდამპლეები;

სოკოვანი დაავადებიდან – ასკოსფეროზი.

ვაროატოზი

ვაროატოზი მძიმედ მიმდინარე ინვაზიური დაავადებაა, რომელიც აზიანებს სამამლე და სამუშე ბარტყს, ჭუპრს და ზრდასრულ ფუტკარს. დედა ფუტკრის ბიოლოგიური განვითარების ხანმოკლე ციკლის გამო ტკიპები სადედეში ვერ ვითარდებიან და ვერ აზიანებენ მას. ეს დაავადება გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, შეტანილია საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს ბ სიაში (საკარანტინო დაავადება).

დაავადების აღმძვრელი არის ტკიპი varoa destructor, კარგად ჩანს შეუიარაღებელი თვალით, მისი სხეული ოვალური, მოყავისფრო და ბრტყელია. მოძრაობს ოთხი წყვილი კარგად განვითარებული ფეხის საშუალებით. აქვს საჩხვლეტი საწუწნი პირის აპარატი. ერთ ფუტკარზე შეიძლება რამოდენიმე ტკიპი შეგვხვდეს. უსაკვებოდ ტკიპები ხუთ დღემდე ცოცხლობენ.

დაავადების წყაროა დაინვაზირებული ფუტკრის ოჯახები. ტკიპს ავრცელებენ: მოხეტიალე ფუტკრები, მამლები, ოჯახის გაძლიერების მიზნით დაავადებული ბარტყიანი ჩარჩოს ჩამატება, ნაყრები და სხვა. დაავადებული ფუტკრის ოჯახები სუსტდება, შთამომავლობა ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია, მცირდება ფუტკრის იმუნიტეტი სხვადასხვა დაავადებების მიმართ.

ტკიპი ადვილად ეგუება ფუტკრისათვის პათოგენურ მიკრობებს, ვირუსებს და ხანგძლივად გამოყენებულ სამკურნალო – პროფილაქტიკურ საშუალებებს, ამიტომ მასთან ბრძოლა მსოფლიო პრობლემად რჩება. მსოფლიოში მოწინავე სპეციალისტები მუშაობენ ტკიპის ორგანიზმში არსებული მიკროფლორის შესწავლაზე, რათა შეძლონ უშუალოდ ტკიპის დაავადება და მისი ამ გზით განადგურება.

ტკიპები იკვებებიან ბარტყის და ფუტკრის ჰემოლიმფით, რის შედეგად იბადებიან უსიცოცხლო, მახინჯი, უფრთო ფუტკრები, ტკიპებისაგან შეწუხებული ფუტკარი მოუსვენრობს. გუნდს ვერ კრავს და გაღიზიანებისაგან ზოგჯერ ემართება ფაღარათიც.

მკურნალობა: ვაროკომი, ასკოვარი, ვაროსტოპი, ეკოსტოპი და სხვა.

აკარაპიდოზი

აკარაპიდოზი ტრაქეაში მობინადრე მიკროსკოპული ტკიპით (Acarapis woodi Rennie) გამოწვეული ფუტკრის ინვაზიური დაავადებაა, რომლითაც ავადდება როგორც მუშა, ასევე დედა და მამალი ფუტკრები.

დაავადება გვხვდება ადრე გაზაფხულზე. ზამთარში გუნდი იშლება, ფუტკარი გაღიზიანებულია, აღინიშნება ფაღარათი, კუჭის გასაწმენდად გამოსული ფუტკარი ვერ ფრენს, მოწყვეტით ეცემა ძირს, დამახასიათებელი კლინიკური ნიშანია ასიმეტრიულად გაფარჩხული ფრთები. სკაში ფუტკრები ერთმანეთს აინვაზირებენ თანდათანობით. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს ფუტკრის ოჯახების უკონტროლო გადაზიდვა, სუსტი ოჯახების გაერთიანება, დაავადებული დედების ჩასმა, ფუტკრების ქურდობა და სხვა.

ორივე დაავადების შემთხვევაში დიაგნოზი ისმევა კლინიკური ნიშნების, ანამნეზისა და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე!

მკურნალობა: ეკოსტოპი, ჭიანჭველმჟავა და სხვა.

ნოზემატოზი

ნოზემატოზი ფუტკრის ინვაზიური გადამდები დაავადებაა, გამომწვევია მიკროსპორიდია Nozema apis და cer¬anae. აღმძვრელი საკვებთან ერთად ხვდება ფუტკრის საჭმლის მომნელებელ სისტემაში, ლოკალიზდება ძირითადად შუა ნაწლავში და იწვევს ფაღარათს. კლინიკური ნიშნების გამოვლინება ხდება ზამთრის ბოლოს და ადრე გაზაფხულზე. Nozema apis შემთხვევაში ფუტკარი აგზნებულია, ემართება კუჭის აშლილობა. სკის შიგნითა კედლები, ფიჭები და ჩარჩოები დასვრილია ფეკალით.

ჩარჩოების ამოღებისას ფუტკარი ფიჭაზე ვერ მაგრდება და ცვივა. სკის ძირზე აღინიშნება დიდი რაოდენობით დახოცილი ფუტკარი. Nozema cerane-ის არსებობისას ვლინდება დაავადების ფარული ფორმა, გაზაფხულზე ავადმყოფი ოჯახები ვითარდება უფრო სუსტად. ზოგჯერ აღინიშნება სკის წინ მცოცავი ფუტკრები.

ყველაზე დიდი განსხვავება Nozema cerane-სა და Noze¬ma apis-ს შორის იმაშია, რომ მეორე იწვევს ფუტკრის მეტად სწრაფ დახოცვას. ფუტკრები ილუპებიან დასნებოვნებიდან 8 დღეში. ყველაზე მეტად ზარალდება მუშა ფუტკარი. ისინი ტოვებენ ოჯახს, მაგრამ იმდენად სუსტები არიან, რომ ვეღარ ბრუნდებიან და გარეთ იხოცებიან.

ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს საჯარო აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ლოტის N	ქონების დასახელება და მისამართი	სავარაუდო წონა (კგ.)	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1	ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ნედლეული -ჯართი	16200	11350	2270	568	50



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება№88. 88222916

თარიღი:18/10/2022

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით ხელახლა აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და საუქციონო კომისიის თავმჯდომარეს ზურან ნემსაძეს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 ნოემბრის #ბ88.88213295 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და საუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ვაჟა-ფშაველას #4 ბინაში (ფოსტის ინდექსი 0160) მდებარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ვაჟა-ფშაველა, სანაპიროს ქ. #24).

გიორგი ზაქარაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოიყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. საუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთი პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“–ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“–ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563288;

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“ – ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2022 წლის 18 ნოემბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2022 წლის 20 ოქტომბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1 – ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 599 472 067; №577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მანანა თაფლზე დაზამთრება, ხანგრძლივი ზამთარი და მაღალი ტენიანობა.

მკურნალობა: ნოზესტატი.

ევროპული სიდამპლე

ევროპული სიდამპლე ღია ბარტყის ინფექციური დაავადებაა. გამომწვევია BBact. Pluton ბარტყი მოყვითალოა, გახრწნილ მასას მჟავე სუნი აქვს, მასა წელვადი არ არის, ბარტყი ჭრელია, დაავადებას ხელს უწყობს ბუდის გაციება. ფუტკრის ოჯახი ავადდება გაზაფხულზე და ზაფხულში. დაავადების მიმდინარეობა ღალიანობის პერიოდში დროებით ქრება და ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე ხელახლა ვითარდება.

ამერიკული სიდამპლე

ამერიკული სიდამპლე გადაბეჭდილი ბარტყის ინფექციური დაავადებაა, რომელიც გვხვდება ზაფხულში, იშვათად გაზაფხულზე. გამომწვევია Bact. Lavre ბარტყი ჭრელია, სახურავები ჩაჩხვლეტილია, დამპალი ბარტყი მოყავისფრო, წელვადია და აქვს სადურგლო წებოს სუნი, გახრწნილი მასა მიკრულია უჯრედის კედელზე.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ცხელი ამინდები. სიდამპლეების გამომწვევი მიკროორგანიზმები ბარტყის ორგანიზმში ხვდება საკვებთან ერთად. დაავადებულ ოჯახში მკვეთრად მცირდება ახალგაზრდა ფუტკრის რაოდენობა, დახმარების გარეშე ოჯახი ილუპება.

აუცილებელია მუდმივად ვფლობდეთ ინფორმაციას მსოფლიოში მეფუტკრეობის პრობლემების შესახებ, კერძოდ, ისეთი დაავადებების შესახებ როგორიც არის ინვაზიური ტროპილელაფსოზი და სკის მცირე ხოჭო. ეს დაავადებები დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყნებში. ამ მიმართულებით აუცილებელია ჩატარდეს ტრენინგები რეგიონებში, რათა ადგილობრივი მეფუტკრეები ინფორმირებულნი იყვნენ.

ამ ყოველივეს განხორციელება გააუმჯობესებს საფუტკრეების ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო ბაზრისათვის ჭარბი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდებას. ფუტკრის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღება, მოგვცემს საშუალებას ქართული ფუტკრის ცნობადობა გავზარდოთ.

მკურნალობა: ევროპული და ამერიკული სიდამპლეების სამკურნალოდ

გამოიყენება-ბაქტოციდი V, ვესტა, და სხვა.

ასკოსფეროზი ანუ ჩაკირული ბარტყი

ასკოსფეროზი ანუ ჩაკირული ბარტყი, სოკოვან დაავადებას მიეკუთვნება, გამომწვევი – Ascosphaera apis. სოკო პათოგენურია 3-4 დღის ბარტყის მიმართ, ავადდება ღია და გადაბეჭდილი, სადედე, სამამლე, სამუშე ბარტყი. დაავადება გვხვდება აპრილიდან ოქტომბრამდე.

ფუტკრები არ ავადდებიან ისინი მხოლოდ დაავადების აღმძვრელის გადამტანები არიან. ბარტყი ჩაიკირება და მოგვაგონებს მოთეთრო ცარცის ნატეხს, მუმიფიცირებული ჭუპრები მუქი ნაცრისფერი ან მოშავოა. ბარტყი ილუპება ჭუპრის სტადიაში, ჩაკირული ბარტყი აღინიშნება როგორც ფიჭაზე, ისე გადმოყრილი სკის ძირზე, მისაფრენზე და საფრენის წინა მოედანზე.

აუცილებელია მუდმივად ვფლობდეთ ინფორმაციას მსოფლიოში მეფუტკრეობის პრობლემების შესახებ, კერძოდ, ისეთი დაავადებების შესახებ როგორიც არის ინვაზიური ტროპილელაფსოზი და სკის მცირე ხოჭო. ეს დაავადებები დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყნებში. ამ მიმართულებით აუცილებელია ჩატარდეს ტრენინგები რეგიონებში, რათა ადგილობრივი მეფუტკრეები ინფორმირებულნი იყვნენ.

ამ ყოველივეს განხორციელება გააუმჯობესებს საფუტკრეების ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო ბაზრისათვის ჭარბი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდებას. ფუტკრის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღება, მოგვცემს საშუალებას ქართულიპროდუქცია გავიტანოთ საერთაშორისო ბაზარზე. მკურნალობა: ასკოვარი, ფუნგისანი და სხვა.მეფუტკრე ფერმერებმა უნდა იცოდნენ, რომ ინფექციური და ინვაზიური დაავადებების გარდა არსებობს ფუტკრის არაგადამდები დაავადებებიც.

არაგადამდები ჯგუფის დაავადებები გამოწვეულია ფუტკრის არასწორი მოვლა-შენახვის, არასრულფასოვანი და უხარისხო საკვებით კვების შემთხვევაში, ასევე ფუტკრის მავნებლების-კვირიონის, ჩრჩილის დიდი პეპელას, თაგვის, ჭიანჭველას და სხვათა მიერ.

არაგადამდებ დაავადებათა შორის უმნიშვნელოვანესია ფუტკრის მოწამვლა სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებითა და პესტიციდებით, რაც დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს მეფუტკრეობას. პესტიციდებით მოწამვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მეფუტკრე წინასწარ იყოს ინფორმირებული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებისა (ძირითადად მინერალური სასუქების) და პესტიციდების მოქმედების ვადების და მისი აქტივობის ხანგრძლიობის შესახებ.

ფუტკრის ოჯახების დასაცავად უპირველესად საჭიროა სკაში ფუტკრის იზოლაცია (იზოლაცია ხანგრძლივი პერიოდით ფუტკრისთვის შემაწუხებელია, რადგან შეიძლება გამოიწვიოს მისი ჩახუთვა და მთლიანი ოჯახის დაღუპვა, პესტიციდის დეტოქსიკაციიდან გამომდინარე იზოლაციის მაქსიმალური ხანგრძლიობა შესაძლებელია 4-5 დღე), ან ფუტკრის ოჯახების გადაყვანა კეთილსაიმედო ადგილზე. საჭიროა მებაღეებსა და მეფუტკრეებს შორის წინასწარ მოხდეს შეთანხმება ამ საკითხებზე!

მაია ფეიქრიშვილი,
ალექსანდრე კორძახია
სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ეს უდიდესი სიწმინდე სრულიად საქართველოს მოგვიწოდებს: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

უკერველი კვართის „ურთიერთშეყრის“ ადგილზეა აგებული, იგი ჩვენი ქვით ნაგები „ბიბლიაა“, რომლის „ხუროთმოძღვრული სხეულია“ „კვართი“ (იგულისხმება არქიტექტურა, ფერწერა და სხვა) საუკუნეთა მანძილზე იქსოვებოდა და მოიქსოვება მეორედ მოსვლამდე, რადგან ეკლესიის გარდამოცემითა და წერილობითი წყაროების უწყებით, ეს სიწმინდეები მეორედ მოსვლისას გაცხადდებიან.

14 ოქტომბერი ჩვენი დედა-ეკლესიის დღესასწაულია, დღესასწაული საუფლო კვართისა და ღმრთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტისა. ამ დღესასწაულზე, ტაძრის ისტორიაზე, მის გამორჩეულობაზე და სიწმინდეებზე გვესაუბრება ქ. ყვარლის წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი.

– რას გვეტყვით სვეტიცხოვლის დღესასწაულის შესახებ?

– ძველ აღთქმაში იაკობის ხილვას, რომელიც კიბით ზეცად ადიოდა და ჩამოდიოდა, ასე განმარტავენ: კიბე ნიშნავს ღვთისმშობელს, რომელმაც ღმერთი და კაცი შეაერთა. იგივე შეიძლება ითქვას სვეტიცხოველზეც. ეს არის დედა ტაძარი, რომლის ცხოველმყოფელმა სვეტმა ერთმანეთს შეუერთა ზეცა და მიწა. ამ სვეტის მეშვეობით, იაკობის კიბის მსგავსად, ჩვენი ლოცვა ადის უფალთან და უფლის ხმა გვესმის ჩვენ. ამიტომ ამ დღესასწაულის ღვთისმსახურებაზე სხვადასხვა ეპარქიებიდან მობრძანდებიან მღვდელმთავრები, მღვდლები, ბერ-მონაზვნები და მრევლი, რათა ერთობლივი ლოცვით შეავედრონ უფალს ქართველი ერი.

უწმიდესი ხშირად ამბობს: „სვეტიცხოველი პირველი ტაძარიაო“. მას ყოველთვის უხარია სვეტიცხოველში მოსვლა და ღვთისმსახურების აღვლენა. მისი სიხარული განსაკუთრებულია სვეტიცხოვლობას, რადგანაც ამ დღეს მისი უწმიდესობა ხედავს ერთად შეკრებილ მლოცველ ერს.

როგორც წმიდა კვიპრიანე კართაგენელი ბრძანებს:“თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა და შეუძლებელია, ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევსო“. ამიტომაც იყო და არის, რომ ქართველები ასე უფრთხილდებოდნენ და უფრთხილდებიან დღესაც ეკლესიის ერთიანობას.

– რატომ ჰქვია ჩვენს დედაეკლესიას სვეტიცხოველი?

თავდაპირველად, სვეტიცხოვლის ადგილას, სამი ასწლეულის მანძილზე „უფლის კვართსა და წმინდა სიდონიას საფლავზე ამოსული კვიპაროსის ხე იდგა, როგორც ბეჭედი უდიდესი სიწმიდისა. მცხეთის მცხოვრებლებმა შეამჩნიეს, რომ სნეული ჩიტები მიფრინდებოდნენ ხესთან, სხდებოდნენ ტოტებზე, კენკავდნენ წიწვებს და იკურნებოდნენ. გარეული ცხოველებიც მოდიოდნენ და ისინიც ჭამდნენ ჩამოცვენილ წიწვებს. გავიდა სამი საუკუნე და ხალხს დაავიწყდა ქრისტეს კვართი და წმიდა სიდონიას საფლავი, მაგრამ თვით კვიპაროსს კი კვლავ თაყვანს სცემდნენ.

წმინდა ნინომაც გამოსცადა თავის თავზე ამ კვიპაროსის განმკურნებელი და სასწაულმოქმედი ძალა. ამიტომ მირიან მეფეს ურჩია სწორედ ამ კვიპაროსის ადგილას აეგო ქრიატიანული ტაძარი. მრავალი სასწაულის მხილველი წმინდა ნინო ფიქრობდა, რომ შესაძლოა სწორედ აქ ყოფილიყო უფლის კვართი დაფლული.

წმინდა მირიან მეფემ დაუჯერა წმინდა ნინოს: მოაჭრევინა კვიპაროსი და მისგან შვიდი სვეტი გამოათლევინა, რადგან სურდა მცხეთის ტაძარი ისევე ყოფილიყო აგებული შვიდ სვეტზე, როგორც სოლომონის ტაძარი. ექვსი სვეტი აღმართეს, მეშვიდე კი ადგილიდან ვერ დაძრეს. დადარდიანებული მეფე მირიანი გვიან ღამით დაბრუნდა სასახლეში, ხოლო წმინდა ნინო და მისი სულიერი დები მთელი ღამე ლოცულობდნენ. გათენებისას ყველას ეძინა წმინდა ნინოს გარდა. უეცრად, მის წინ საოცრად დიდი ნათელი დაეცა, რამაც ზევით ააწევინა თავი. წმინდა ნინომ იხილა უფლის ანგელოზი მთლიანად გაბრწყინვებული ახალგაზრდა კაცის სახით, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა გაოცებულ და შეცბუნებულ ქალწულს. მერე კი ხელი მოჰკიდა სვეტს და ჰაერში გააჩერა იგი ხის გადანაჭერის პირდაპირ. ჯერჯერობით არ ვიცით, თუ რა უთხრა ანგელოზმა წმინდა ნინოს, მაგრამ თავის დროზე ალბათ ეს სამი სიტყვაც გაცხადდება, რადგან უფალმა გვასწავლა: არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გაცხადდესო.

სვეტი ცეცხლის ენას დაემსგავსა, რომელსაც თავზე შვიდი ვარსკვლავით გაბრწყინებული სამეფო გვირგვინი დაედგა, ქვემოდან კი სურნელოვანი მირონი სდიოდა.

დილით კი, მცხეთის ყველა მცხოვრებმა და მათ შორის მეფე მირიანმაც, მეფის ბაღში იხილა მოგიზგიზე სვეტი. ყველა სირბილით გაეშურა ამ ადგილას, რადგანაც ხანძარი ეგონათ. ადგილზე მისულებმა მუხლი მოიყარეს ჰაერში თავისით ჩამოკიდებული (ანგელოზს წმინდა ნინოს გარდა ვერავინ ხედავდა) მირონმდინარე სვეტის წინაშე. მირონს ყველანაირი სენის გაკურნების უნარი აღმოაჩნდა და ვინც მას ქრისტეს წრმენით იცხებდა მტკივნეულ ადგილას, ყველა იკურნებოდა. მემატიანეს სიტყვებით, როცა მცხეთის ყველა მორწმუნე ავადმყოფი განიკურნა, სვეტი ნელნელა დაეშვა თავის გადანაჭერზე და ისე შეუერთდა მას, თითქოს ის არასოდეს ყოფილა მისგან დაშორებული.

ამდენი სასწაულის მხილველმა ხალხმა ამ სვეტს „ცოცხალი“ სვეტი, ანუ „სვეტი–ცხოველი“ უწოდა.

– რამდენჯერ აშენდა სვეტიცხოველი?

– ვიდრე სვეტიცხოვლის ტაძარს საპატრიარქოს საკათედრო ტაძრის ტიტული ღორსეულად მიენიჭებოდა და საქართველოს მდიდარ მემკვიდრეობად იქცეოდა, დიდი გზა განვლო. თავდაპირველად, ხის პატარა ეკლესია მირიან მეფის დროს წმინდა ნინოს რჩევით, IV საუკუნეში სასახლის ბაღში აშენდა და ატარებდა სიონის სახელწოდებას, ანუ იგი მიეძღვნა ღმრთისმშობლის მიძინებას. წმინდა მეფე მირიანმა ამ ტაძარს წმიდათაწმიდაც უწოდა, მასში უფლის კვართისა და სვეტიცხოვლის არსებობის გამო. ტაძარმა მას შემდეგ სახეცვლილება არაერთხელ განიცადა. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალმა, ხის ტაძრის დანგრევის შემდეგ, ქვის დიდი ეკლესია თორმეტი მოციქულის სახელზე ააგო. ამ ტაძრის ნაშთები შემორჩენილია ნანგრევების სახით დღევანდელ სვეტიცხოვლის ტაძარში. ვახტანგ გორგასლისეული ტაძარი აბულ ყასიმს X საუკუნეში გადაუწვამს. თუმცა გიორგი I-ის მეფობის დროს, XI საუკუნეში მელქისედეკ კათალიკოსმა რესტავრაცია საფუძვლიანად გააკეთა. ხუროთმოძღვარი კი არსუკიძე გახლდათ.

1283 წელს სვეტიცხოველი მიწისძვრამ დაზიანა. XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალემ ტაძრის გუმბათი აღადგინა. XV საუკუნის პირველ ნახევარში კი, ალექსანდრე I-ის მეფობის ხანაში, მას მერე, რაც ტაძარი თემურ-ლენგმა დაანგრია, 1656 წელს როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის თაოსნობით კვლავ აღადგინეს გუმბათის ყელი. 1675 წელს კი, კათოლიკოს ნიკოლოზის ბრძანებით, გოდოლიც განუახლებიათ და იგი გრიგოლ გურჯვარიშვილმა „მოქცევაი ქართლისაის“ სცენებით მოხატა.

– რას გვეტყვით სვეტიცხოვლის ტაძრის ამშენებელზე?

– სვეტიცხოვლის ტაძრის ამშენებელი გახლდათ ქართველი ხუროთმოძღვარი არსუკიძე (გ.1029). მისი სახელი ამოკვეთილია ორგან: ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა თაღს ქვემოთ, მედალიონებში და ჩრდილოეთ ფასადის მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფური გამოსახულებით. წარწერა ასეთია: „ხელი მონისა არსუკიძისაი. შეუნდეთ“ ტაძარი აგებულია 1010-1029 წლებში. უეჭველია არსუკიძემ გამოიყენა ძველი (V-VI სს.) სვეტიცხოვლის ცალკეული ნაწილები, რათა სრულიად ახალი დამოუკიდებელი ნაწარმოები შეექმნა, რაც მოწმობს მთელი იმდროინდელი ქართული ხუროთმღვრების მხატვრულ სიმწიფეს და თვით არქიტექტორის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას. არსუკიძე უნდა იყოს ტაძრის დასავლეთით მდებარე კარიბჭის მშენებელიც, რადგან კარიბჭისა და ტაძრის ერთდროულობა ეჭვს არ იწვევს.

არსუკიძე XI საუკუნის მოღვაწეა. იგი არის მელქისედეკ კათოლიკოსის თანამედროვე და ტაძრის მთავარი ქტიტორი. არსუკიძის ხუროთმოძღვრებაში ახალ საფეხურზეა აყვანილი X საუკუნის II ნახევარში ქართულ ხუროთმოძღვრებაში (ტაო-კლარჯეთი) დამკვიდრებული ჯვარგუმბათოვანი კონსრტუქცია, რომელშიც შიდა სივრცის მთავარ კომპოზიციურ ელემენტებს ქმნიან მაღალი გუმბათი და უფრო დაბალი ჯვრის მკლავები.

არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის ოსტატმა აჯობა მასწავლებელს, რისთვისაც მას ხელი მოჰკვეთეს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია“.

– საღმრთო განგებულებით სვეტიცხოვლის ტაძარი უშუალოდ უფლის კვართის დაფლის ადგილას აიგო. როგორ მოხვდა უფლის კვართი საქართველოში?

– ძველი აღთქმის მღვდელს ეფოდთან (წამოსასხამსა და სხვა შესამოსელთან) ერთად, აუცილებლად ნაქსოვი კვართიც უნდა სცმოდა. ეს იცოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და ამიტომაც ყრმა იესოს, მომავალ“მღვდელმოძღვარს წესსა ზედა მელქისედეკისასა“, კვართი მოუქსოვა. „ხოლო კვართი იგი... იყო უკერველ, ზეით გამოქსოილ ყოვლად“. გადიოდა ხანი, „წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა“ იესო და სასწაულებრივად იზრდებოდა ღვთისმშობლის მოქსოვილი კვართიც, რომელსაცა „ნეტარებით შეეცვა ნათელთა ყოველთა მფლობელი გვამი წმიდა ცეცხლისა მის ღვთაებისა“. თეოდორე ზიგაბენის მიხედვით, კვართი სახელოებიანი ყოფილა. მოკლესახელოიანი კვართია გამოსახული ბაგრატიონთა გერბზეც. ხოლო XVII საუკუნეში იერუსალიმში გავრცელებული ერთი გადმოცემის თანახმად, უფლის კვართი ლაჟვარდისფერი ყოფილა, მანტიის მსგავსი, უსახელო, განიერი და გრძელი, მაგრამ რისგან იყო იგი მოქსოვილი, ეს უცნობია. ერთი კია – ამ ნეტარმა შესამოსელმა, როგორც ღრუბელმა, შეიწოვა ოფლი, სისხლი და ცრემლი, რომელიც კაცთა მოდგმის ხსნისათვის დაღვარა მაცხოვარმა.

იერუსალიმში იესოს ჯვარცმისას საქართველოდანაც ჩავიდნენ ურიები – ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზიის დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო. სწორედ მან გააფრთხილა ვაჟები, რომლის უფლის სისხლის დათხევაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამასვე ევედრებოდა ელიოზს და სიდონია. მაცხოვრის ჯვარცმისას ლურსმნების დაჭედების ხმა თურმე მცხეთაში მოესმა ელიოზის დედას. წამოუძახებია: „მშვიდობით, მეფობაო ისრაელთაო, რამეთუ უგუნურობით მოჰკალთ უფალი და მაცხოვარი ყოველთა!“ და მწუხარებისგან იქვე დაულევია სული.

მაცხოვრის ჯვარცმისას, როცა მისი სამოსელი განიყვეს და კვართზე წილი იყარეს, იგი ჩვენებურთ შეხვდათ. უფლის კვართი ელიოზმა მცხეთაში წამოიღო. სიდონია მას ტირილით შეგებებია მცხეთის კარიბჭესთან, ჩაუკრავს მკერდში „ყოველთა სასურველი კვართი მხსნელისა“ და მოისმინა რა ძმისგან იესოს ჯვარცმის ამბავი, მწუხარებისაგან სული განუტევა. ეს ამბავი მთელ მცხეთას მოედო. მიცვალებული მეფე ადერკს უნახავს და კვართი მოსწონებია. ბევრს ცდილან მიცვალებულისთვის კვართი გამოერთმიათ, მაგრამ ამაოდ. ელიოზმა თავისი და წმიდა კვართთან ერთად დაკრძალა ლიბანის ნაძვებთან.

რამოდენიმე წლის შემდეგ, ადერკის შვილიშვილს, მეფე არმაზელს მოუნდომებია სიდონიას საფლავის გათხრა და კვართის პოვნა, მაგრამ ამის გამო, ღვთისაგან სასჯელი მიუღია.

აი, ამგვარად მოხვდა უფლის კვართი საქართველოში. სახიერ უფალს წინასწარვე განეგო ჩვენი ქვეყნის „ერად საზეპურად შემზადებაი“ და ვინაიდან ღვთისმშობლის წილხვედრნიც ვიყავით, ამისთვის უფრო ღირს იქმნა იბერია ამ დიდი მადლისა. როგორც წმინდა ნიკოლოზ გულაბერიძე ბრძანებს, „ამისთვისაცა უკვე წინასწარვე წარმოავლინა მადლი ღვთაებისა მისისა, რათა პირველადვე დაიწინდოს კვართითა მით და მადლით ღვთაებისა მისისათა“.

– კიდევ რითია გამორჩეული და განსაკუთრებული სვეტიცხოვლის ტაძარი?

– იმით, რომ მხოლოდ აქ იხარშება მირონი და ეპისკოპოსები და პატრიარქები მხოლოდ ამ ტაძარში იკურთხებიან. აქ იკურთხებოდნენ ადრე საქართველოს მეფეებიც.

ერთხელ წმინდა პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერიძემ „ზამთრის სასტიკებისა“ და დედოფლის უძილობის გამო, მროველი ეპისკოპოსი ტიმოთე რუისის საყდარში აკურთხა ეპისკოპოსად. იმავე ღამეს სვეტი-ცხოველი „სახედ მოხუცებული ბერი კაცისა“ ტაძრის ქადაგს ეჩვენა და უბრძანა პატრიარქი გაეფრთხილებინა, რომ მას აღარასოდეს ეკურთხებინა ეპოსკოპოსი სადმე სხვაგან, გარეშე (გარდა) სვეტიცხოვლის ტაძრისა. ეს უმეცრებით ჰყო, ამიტომ შევუნდობ, მაგრამ სხვა დროს აღარ ვაპატიებ „შეურაცხყოფას საყდრისა ჩემისაო“, – უბრძანებია უფალს.

ამიტომაც უნდა გვეშინოდეს სვეტიცხოველთან უკრძალველად მიახლოებისა, განსაკუთრებით – კვართის დღესასწაულზე, გვეშინოდეს და შევიქმნათ იმ „საზეპურო ერად“, რომელსაც უფალი, ნიშნად დიდი წყალობისა, სვეტიცხოვლის ძირიდან აღმოუცენებს და უწყაროებს „მირონსა, ვითარცა ღმერთმყოფელსა და ნათელმყოფელსა“.

სვეტიცხოვლის ტაძარი გახლავთ აგრეთვე შუა საუკუნეების საქართველოს მრავალი მეფის (მათ შორის წმიდა მეფეების), მათი ოჯახის წევრების და პატრიარქთა საძვალეც. ხოლო სვეტიცხოვლის წმინდა ტრაპეზის ქვეშ განისვენებს ევსტათის წმინდა ნეშტი. ე.ი. მისი მეორე სამშობლო შეიქმნა მცხეთა და ამის გამო ეწოდა მას სახელად მცხეთელი.

– ცნობილია, სვეტიცხოვლის ტაძარი მრავალ სიწმინდეს ფლობდა, კონკრეტულად?..

– წმინდა მამების და თეოლოგების აზრით, სვეტიცხოველთან დაკავშირებით, სამ უმთავრეს სიწმინდეს ვიხილავთ: სვეტი-ცხოველს, უფლის კვართს და სვეტიცხოვლის ტაძარს.

სვეტი-ცხოველს მოიაზრებენ, როგორც „ძველი დღის უფალს“, ანუ მამა ღმერთს, ხოლო უფლის კვართს – ძე ღმერთად. რადგან სვეტიცხოვლის ტაძარი უფლის კვართზე დგას, ისევე როგორც იერუსალიმის აღდგომის ეკლესია – უფლის საფლავზე, ამიტომ სვეტიცხოვლის ტაძარს განიხილავენ როგორც აღდგომის ტაძარს და კიდევ, როგორც თვით ღვთისმშობელს: „როგორც ღვთისმშობელი ცხრა თვე ატარებდა უფალ იესო ქრისტეს თავისი მუცლით, ასევე სვეტიცხოვლის ტაძარი სულიერი ზეცის განსახიერებაა და ამავე დროს არის შემაერთებელი მიწისა და ცისა“, – წერს წმინდა თამარ მეფის დროინდელი კათოლიკოსი – ნიკოლოზ გულაბერიძე.

სვეტიცხოვლის ტაძრის სიწმინდეებია:

1).უფლის კვართი; 2). სვეტიცხოველი; 3) უფლის შობის ადგილის – ბეთლემის გამოქვაბულის შავი მარმარილოს მაკეტი (სვეტი-ცხოველსა და პატრიარქის ტახტს შორის, სვეტი-ცხოვლის კედელზეა მიდგმული. 4-5 წლის წინ ამ მაკეტში სვეტი-ცხოვლიდან მირონმა დენა დაიწყო. ამჟამად სვეტიცხოვლის ტაძრის რეკონსტრუქციის გამო ბეთლემის გამოქვაბულის მაკეტი საერთოდ აღარ არის). 4.ელია წინასწარმეტყველის ხალენი (ზემოდან მოსაცმელი); იგი ინახება სვეტიცხოვლის ტაძრის ძირითადი საკურთხევლის მარცხენა, მცირე საკურთხეველში, რომელიც სწორედ ელია წინასწარმეტყველის საკურთხევლის სახელითაა ცნობილი; ეს ხალენი გადმოუგდო თავის მოწაფეს – ელისეს. საუკუნეების განმავლობაში ეს ხალენი გადადიოდა ყველაზე მორწმუნე ებრაელის ხელში, როგორც ძველი აღთქმის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე. ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს, როცა ნაბუქოდონოსორისაგან დარბეულ ებრაელთა ერთი ნაკადი საქართველოში შემოვიდა, თან შემოიტანა ეს ხალენიც და დაფლეს სწორედ იმ ადგილზე სადაც ამჟამადაა. გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფე ფარნავაზს შემოუზღუდავს ეს ადგილი. 5) ელია წინასწარმეტყველის სახელობის საკურთხევლის სალოცავში არის „იაკობის ჭის“ სახელით ცნობილი ჭა, რომლის წყალი კურნების დიდი მადლის მატარებელი იყო მორწმუნეთათვის. ამჟამად იქ წყალი აღარ არის, ძალიან ღრმა ჭაბურღილია და ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ჭის ძირში უნდა იყოს დაფლული წმინდა ელიას ხალენი. 6) თვით სვეტიცხოვლის ტაძარი მოიაზრება როგორც აღდგომის ტაძარი და თვით ღმრთისმშობელიც. 7) სვეტიცხოვლის ტაძარში დგას პატარა ტაძარი, რომელიც არის ქრისტეს საფლავის ტაძრის ასლი და ზუსტად შეესაბამება იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის ტაძარს. ეს ტაძარი სვეტიცხოვლის ტაძარში ჩაუშენებიათ IV საუკუნეში. 8) ძელი ცხოველი, ანუ ჯვარი პატიოსანი – ერთ-ერთი იმ ოთხ ჯვართაგანი, რომლებიც წმინდა ნინომ სასწაულმოქმედი ხისგან შეაქმნევინა. ადრე, თემურ ლენგის შემოსევამდე, იგი მცხეთის ჯვრის მონასტერში ბრძანდებოდა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან იგი დაბრძანებულია სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, მისი ჩრდილოეთის კედლის შუა, შემაღლებულ ადგილას. ამ სასწაულმოქმედ ჯვარს, რომლის მიმართაც განსაკუთრებით უშვილოებს ჰქონდათ სასოება, 2004 წლის 16 თებერვალს მირონი გადმოდინდა, პატრიარქის კურთხევით, იგი მინანქრული ხატებით გაამშვენეს. მასში ჩატანებულია ძელი-ცხოველისა და წმინდა ნინოს ჯვრის ნაწილები. 9) სვეტიცხოვლის ერთერთი მთავარი სიწმინდე იყო აგრეთვე – საქადაგო ხატი სვეტი-ცხოველისა. ეს არის კარედში ჩაბრძანებული სვეტი-ცხოველის 36x17 სმ. ზომის ჭედური გამოსახულება. კარედის გვერდებზე გამოსახულნი არიან წმინდა ნინო და წმინდა მირიან მეფე. კარედის ზემოთა ნაწილი მოოქროვილია. მასზე გამოსახულია კუბოში მწოლიარე წმინდა სიდონია, მის მკერდზე კი აღმართულია სვეტი, რომელიც ანგელოზებს უპყრიათ ხელთ. სიდონიას ფერხთით გამოსახულია მლოცველი წმინდა ნინო, ხოლო ზემოთ – ორივე ხელით მაკურთხებელი მაცხოვარი. ხატში 44 წმინდა ნაწილი ყოფილა ჩატანებული. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული. 10) წმინდა მეფეთა – ვახტანგ გორგასლისა და დემეტრე თავდადებლის საფლავები. 11) ევსტათის წმინდა ნეშთი კი, პატივითა და დიდებით არის დაკრძალული. 12) წმინდა სიდონია, ვინც უფლის კვართი გულში ჩაიკრა და, უმალ გარდაცვლილი დაკრძალეს კვართით სვეტის ადგილას.

ყველა ამ და სხვა ბევრი სიწმინდეების გამო, მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, ჩვენი დედათა ეკლესია, სათაყვანებელი ადგილია არა მარტო ქართველთათვის, არამედ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის.

– ვინ არიან დაკრძალული სვეტიცხოვლის ტაძარში?

– სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარში განისვენებენ ადამიანები, რომელთაც „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველის“ რწმენით დაამარცხეს და სრულიად გაწდევნეს საკუთარი არსებიდან სიკვდილის ბუნებრივი შიში. სვეტიცხოვლის ტაძარში განსვენებულ ქართველ წმინდანთა, გმირთა და საზოგადო მოღვაწეთა მეოხება არ მოჰკლებოდეს ქართველ ერსა და სრულიად საქართველოს.

სვეტიცხოვლის საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზის ქვეშ, განისვენებს წმინდა ევსტათი მცხეთელის ნეშტი.

სვეტიცხოველში დაკრძალული მეფეებიდან წმინდანად შერაცხულნი არიან: წმინდა კეთილმსახური მეფე ვახტანგ გორგასალი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრა და წმინდა მეფე – დიმიტრი თავდადებული.

მეფეთაგან სვეტიცხოველში განისვენებენ აგრეთვე: რევი, ბაკური, დავითVI, გიორგი VI, გიორგი VIII, ლუარსაბ I, ალექსანდრე დიდი,სიმონ I, ერეკლე II და გიორგი XII, რომელთაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ღვთისა და ერის წინაშე.

კათალიკოს პატრიარქთაგან სვეტიცხოვლის ტაძარში განისვენებენ: მელქისედეკ I, დომენტი II, ბესარიონ I, ანტონ I და სხვანი.

სვეტიცხოვლის ტაძარი მუხრანელ ბაგრატიონთა საგვარეულო განსასვენებელიც იყო. ამიტომაც მეფეთა გვერდით განისვენებენ ბაგრატიონთა სხვა წარმომადგენლებიც: დედოფალი მარიამი (როსტომ მეფის მეუღლე), ანა (ერეკლე II-ის მეუღლე), ერეკლე II-ის ქალიშვილი თეკლე, მათი შვილები და შვილიშვილები.

– და ბოლოს, რას უსურვებდით ქართველ ერს?

– ერთად დგომას, სიყვარულს ღმრთისადმი და მოყვასისადმი, გამთლიანებას და გაბრწყინებას. მინდა ჩემი სათქმელი ჩვენი საყვარელი პატრიარქის სიტყვებით დავასრულო: „სვეტიცხოველი არის დიდი და

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

ეს უდიდესი სიწმინდე სრულიად საქართველოს მოგვიწოდებს: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე



მძლავრი კელაპტარი, რომელიც დაანთეს წმინდა ნინომ და წმინდა მეფე-დედოფალმა – მირიანმა და ნანამ. ეს უდიდესი სიწმინდე სრულიად საქართველოს მოგვიწოდებს: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“

დღეს, სვეტიცხოველი აღმართულია, როგორც ქართველი ხალხის შემოქმედების, მისი მდიდარი ფანტაზიის მღაღადებელი, როგორც ხელოვნების, ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი და, მართლაც, პოეტისა არ იყოს: „საქართველოა რა საქართველო? უსვეტიცხოვლო, უგელათო, უალავერდო“.

არ არის საქართველოში სიწმინდე, რომელიც გაუტოლდება სვეტიცხოველს სიძველით, სიდიადით, ისტორიული მოგონებით და ღვთიური განგებულებით“.

აქვე მინდა, ეს დიდებული დღესასწაული საკუთარი ლექსითაც მოგილოცოთ:

დღეს აქ მოვედი უწმინდეს ადგილს,
სად ლოცვად დგება სული ყოველი...
სად სიწმინდეა ძველის და ახლის,
სად აღმართულა ძელი ცხოველი.
აქ განისვენებს ხალენი ძველი,
ხელშენავლები წმინდა ელიას.
აქ არის კვართიც უფლისა, მწველი,
ეს სიწმინდენი დღესაც გველიან.
აქ ლოცვად მდგარა თვით ნინო წმინდა,
აქ განიდიდა სვეტი მირონით.
ამაზე მეტი სხვა რაღა გინდა,
მადლს როდის ააქვს სანაპირონი.
აქვე აშენდა ტაძარი ერის,
ისევ დგას ლაღად, ყელმოღერებით.
სადაც ჩუქურთმა ამ დრომდე მღერის,
და მის მომნუსხველ ხიბლში ვერევი.
ვსცან შენი სახე, უძვირფასესი,
თვით ზურმუხტისა ხარ სამკაული.
მე შენი ქება– დიდება მესმის,
და შენს დიდ სახელს გვერდს
ვერ ავუვლი.
ვდგევარ მუხლმოყრით, ლოცვით,
ვედრებით,
და არ მასვენებს ფიქრი მთოველი...
ჩვენ არ გავქრებით, არ დავბერდებით,
ვიდრე დგას რწმენად სვეტიცხოველი.

– გმადლობ საინტერესო ინტერვიუსთვის. ჩვენც ვუერთდებით თქვენს სურვილებს და ვულოცავთ ჩვენს ქვეყანას სვეტიცხოვლობას!

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

რომელი ხორცია უკეთესი ჯანმრთელობისთვის?

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ხორცი და ხორცპროდუქტები ადამიანების ერთი ნაწილისთვის იყო და დღემდე კვების რაციონში რჩება. ხორცი მთელ რიგ ამინომჟავებს, მინერალებს და მიკროელემენტებს შეიცავს და როგორც ამბობენ (თუმცა, აზრები აქაც იყოფა), ხორცს ვერანაირი პროდუქტი ვერ ჩაანაცვლებს, როგორც არ უნდა მოინდომონ ეს ვეგეტარიანელებმა.

ხორცის უამრავ სახეობათა შორის (მოცემულ რეიტინგში მხოლოდ ევრაზიის კონტინენტზე ყველაზე პოპულარული სახეობებია წარმოდგენილი), შემადგენლობის მიხედვით, არის სასარგებლო და ნაკლებად სასარგებლო სახეობები. აქ სწორედ ხორცის სასარგებლო სახეობების ნუსხას და ექსპერტების მიერ, ამ პროდუქტებს შორის გადანაწილებულ ადგილებს წარმოგიდგენთ:

I. კურდღლის ხორცი

ჩემპიონი, სასარგებლო თვისებების მიხედვით, კურდღლის ხორცია. ის დიეტურია და შემადგენლობის მიხედვით, უნიკალურია: შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას და ამ მხრივ, ქათმის ხორცსაც კი უსწრებს. მისი ათვისება ადამიანის ორგანიზმის მიერ სრულად ხდება. გარდა ამისა, ის ალერგიული არ არის და მისი ჩართვა ბავშვის კვების რაციონშიც შეიძლება.

II. ცხენის ხორცი

ითვლება, რომ ცხენის ხორცი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთაა. იმის გამო, რომ ცხენი ყოველთვის სუფთა გარემოში იზრდება, მის შემადგენლობაში არც ანტიბიოტიკებია და არც სხვა მავნე კომპონენტები. ხოლო, ხორცში შემავალი ცილა იდეალურად არის დაბალანსებული ამინომჟავების შემადგენლობის თვალსაზრისით. ვიტამინების და მიკროელემენტების შემადგენლობის მიხედვით კი, ცხენის ხორცი საერთოდ ჩემპიონია. ისევე, როგორც კურდღლის ხორცი, დიეტურია და მისი ჩართვა პატარების რაციონშიც შეიძლება.

საკვებად ცხენის ხორცს, ძირითადად, მომთაბარე ტომებში და სამ ქვეყანაში: ყაზახეთში, ყირგიზეთში და მონღოლეთში მოიხმარენ და ამ მიზნით, მხოლოდ 2-3 წლის ცხენებს იყენებენ.

III. ინდაურის ხორცი

სხვა ფრინველის ხორცისგან განსხვავებით, ინდაურის ხორცი ნაკლებად ცხიმიანი და დაბალკალორიულია. მაგრამ, ცილების შემადგენლობით, არც ერთ სახეობას არ ჩამოუვარდება. ინდაურის ხორცი დიდი რაოდენობით სელენიუმს და B ვიტამინს შეიცავს, ხოლო ფოსფორის შემცველობით, თევზის ზოგიერთ სახეობას აღემატება. ქოლესტერინის ზომიერი შემადგენლობის გამო, ის რეკომენდებულია ხანდაზმულთათვის და ჭარბი წონის მქონე ადამიანებისთვის.

IV. მწყერი

ამ ფრინველის ხორცს, მიუხედავად იმისა, რომ სასარგებლოა, ნაკლებად მოიხმარენ. ის დიდი რაოდენობით ცილებს, ვიტამინებს და მინერალებს შეიცავს და ამასთან, ნაკლებად კალორიულია.

არსებობს აზრი, რომ მწყრის ხორცი განსაკუთრებით სასარგებლოა ოპერაციის ან დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის შემდეგ. ასევე დამტკიცებულია, რომ მაგნიუმის, რკინის, კალიუმის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო, ის დადებით გავლენას ახდენს ტვინზე, გულ-სისხლძარღვთა და იმუნურ სისტემაზე.



V. ქათმის მკერდი

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სასარგებლოა არა მთლიანად ქათმის ხორცი, არამედ მისი თეთრი ხორცი – ქათმის მკერდი. როგორც დიეტოლოგები ამბობენ, ქათმის თეთრი და მუქი ხორცი ორი საპირისპირო კატეგორიის პროდუქტია. რამდენადაც სასარგებლოა თეთრი ხორცი, იმდენად უსარგებლოა ბარკალი და სხვა მუქი ხორცი. მუქი ხორციისგან განსხვავებით, თეთრ ხორცში მცირე რაოდენობით არის ქოლესტერინი, ცხიმები და ძნელად გადასამუშავებელი ნივთიერებები, რომელსაც შეუძლია ნაწლავების დაბინძურება და ანთებითი პროცესი გამოიწვიოს.

VI. თხის ხორცი

თხის ხორცს ძალიან ნაზი ტექსტურა და მინიმალური რაოდენობის ცხიმი აქვს. გარდა ამისა, მის შემადგენლობაში მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტები არის: რკინიდან დაწყებული – ანტიოქსიდანტებით დამთავრებული. ის ქოლესტერინის უმნიშვნელო რაოდენობას შეიცავს და ხანდაზმულთათვის შეუცვლელი პროდუქტია. თხის ხორცით ნებისმიერი კერძის მომზადება შეიძლება. ყველაფერი გემრიელი, სასარგებლო და ორიგინალური გამოდის.

VII. სირაქლემას ხორცი

როგორც ამბობენ, სირაქლემასი ხორცი, გემოს მიხედვით, ძროხის ხორცის მსგავსია, თუმცა შედარებით მოტკბო გემო დაჰკრავს. ის სასარგებლოა მათთვის, ვისაც დიაბეტი ან ანემია აქვს და ასევე მათთვის, ვისაც პრობლემა აქვს გულ-სისხლძარღვთა სისტემასთან დაკავშირებით. სირაქლემასი ხორცი დიდი რაოდენობით ცილას და ამინომჟავების უნიკალურ შემადგენლობას შეიცავს.

VIII. ცხვრის ხორცი

ბევრი ადამიანი ცხვრის ხორცს მეტისმეტად ცხიმიანად მიიჩნევს. ცხიმი მას, რა თქმა უნდა აქვს, თუმცა მისი რაოდენობა ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე ღორის ხორცში. ამასთან, ცხვრის ხორცი შეიცავს ლეციტინს, რომელიც ცხვრის ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს არეგულირებს.

მიუხედავად სასარგებლო თვისებებისა, ეს პროდუქტი, გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის, საზიანოც არის. ცხვრის ხორცის ძვლები შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს ართრიტის განვითარებას. ამიტომ, ხანდაზმულებმა უარი უნდა თქვან მასზე. გარდა ამისა, ზრდასრული ცხვრის ხორცი შეიცავს ლიპიდებს, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ამიტომ, გარნირის გარეშე, ასეთი ხორცის დიდი რაოდენობით საკვებად გამოყენება არ შეიძლება. და კიდევ, ის ცხიმი, რომელიც კერძის მომზადების დროს გამოდნება, ასევე სახიფათოა ორგანიზმისთვის.

IX ღორის ხორცი

ღორის ხორცის, როგორც არაჯანსაღი პროდუქტის რეპუტაცია, შეიძლება ითქვას, რომ მეტისმეტად გადაჭარბებულია. აღმოჩნდა, რომ ამ ხორცის ყველაზე სასარგებლო ნაწილი სუკია. სწორად მომზადების შემთხვევაში, სუკის სასარგებლო თვისებები შეიძლება ქათმის ხორცსაც კი შევადაროთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰორმონებზე გაზრდილ ღორის ხორცს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანისთვის.

X. საქონლის ხორცი

რაც შეეხება ამ სახეობის ხორცს, – ის შეიძლება ორგანიზმისთვის როგორც სასარგებლო, ისე საზიანო იყოს. სასარგებლოა ხორცი, რომელიც მიღებულია ბალახზე გაზრდილი საქონლისგან. ხოლო, თუ ძროხა მარცვლეულით არის გაზრდილი, – საზიანოა, რადგან მის შემცველობაში დიდი რაოდენობით ქოლესტერინი და ცხიმი იქნება.

ხაჭოს გამოყენების რამდენიმე საინტერესო იდეა და რეცეპტები

ხაჭო ძალიან სასარგებლო პროდუქტია. მართალია, ყველას არ ეჩვენება ის გემრიელი, მაგრამ მისი რაციონში ჩართვა აუცილებელია. ხაჭო ცილისა და კალციუმის ერთ-ერთი უმდიდრესი წყაროა. იგი ორგანიზმის მრავალი ფუნქციის ნორმალიზებას უწყობს ხელს. ეს პროდუქტი რეკომენდებულია მათთვისაც, ვისაც წონაში დაკლება სურს, რადგან ხაჭო აუმჯობესებს ცხიმების ცვლის პროცესს, ეფექტურია გულისა და ღვიძლის დაავადებების მკურნალობისას. ხაჭო ასტიმულირებს სისხლში ჰემოგლობინის წარმოქმნას, ზრდის ნერვული სისტემის რეგენერაციის უნარს და ამაგრებს ძვლებს. საუზმის დროს ხაჭოს მცირე რაოდენობის მიღებაც კი ეხმარება ორგანიზმს უკეთ გაუმკლავდეს სტრესს და დაძლიოს შფოთვა.

ძველ რომში ხაჭო

ძალიან უყვარდათ. მას მარილს და თაფლს უმატებდნენ და ღვინოსთან ერთად ხემსის სახით მიირთმევდნენ. ეს ძალიან სასარგებლო და გემრიელი დესერტია, რომელიც შეგიძლიათ თავადვე მოამზადოთ. ხაჭოს პატივს ინდოეთშიც სცემდნენ. დღესასწაულების დროს, ღმერთ კრიშნას პატივსაცემად, ხაჭოს ქოთნის გატეხვა ერთგვარი რიტუალი იყო, რომელიც წარმატებას მოასწავებდა.

ხაჭოსგან შეგიძლიათ ასევე მოამზადოთ მდნარი ყველი, სახლის პირობებში. 500 გრამ ხაჭოს დაუმატეთ 2 კვერცხი, 100 გ. კარაქი, 1 ჩ/კ მარილი და 1 ჩ/კ. სოდა. ათქვიფეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. განსაკუთრებით გემრიელია მდნარი ყველი სოკოს არომატით. ამისთვის, ტაფაზე შეწვით წვრილად დაჭრილი, 250 გ. ქამა სოკო. ხაჭოს მასა შემოდგით ორთქლის აბაზანაზე და ურიეთ, სანამ მდნარი ყველის კონსისტენციამდე მივა. შეურიეთ მას შემწვარი სოკო და წვრილად დაჭრილი ოხრახუში. შეგიძლიათ ასევე დაუმატოთ ცოტა ნიორიც.

ხაჭოთი შეგიძლიათ ასევე ჩაანაცვლოთ მასკარპონე, რომელიც ძალიან ძვირადღირებული პროდუქტია და გამოაცხოთ ჩიზქეიქი. ხაჭო ასევე ძალიან კარგია კანისთვის. მისგან შეგიძლიათ დაამზადოთ სახის ნიღაბიც: 1 ს.კ. ცხიმიან ხაჭოს შეურიეთ 1 ს.კ. არაჟანი და 0,5 ჩ.კ. მარილი. წაისვით სუფთა კანზე 20 წუთით, შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

1,5 კგ. ხაჭოს დასამზადებლად 10 ლიტრი რძეა საჭირო. ხაჭოსგან ბევრი უგემრიელესი კერძის მომზადებაა შესაძლებელი. ხაჭო მალფუჭებადი პროდუქტია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ ვადას, როდესაც მას იყიდით. აირჩიეთ ხარისხიანი და სანდო პროდუქტი.

გთავაზობთ ხაჭოსგან მომზადებულ რამდენიმე საინტერესო, უცხო და ძალიან გემრიელ რეცეპტს, რომლის მომზადებასაც სახლის პირობებში, საკმაოდ მარტივად შეძლებთ.

1. ხაჭოს ფუნთუშები

ხაჭოს ფუნთუშები ძალიან ლამაზი და გემრიელი დესერტია. მის მომზადებას არ სჭირდება განსაკუთრებული კულინარიული უნარები და გამოცდილება. გირჩევთ, აირჩიოთ ერთგვაროვანი, მყარი ხაჭო, რომ ფუნთუშების შიგთავსი ნაზი გამოგივიდეთ. აიღეთ 6%-იანი ცხიმის შემცველობის ხაჭო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად კალორიული დესერტი გინდათ, შეგიძლიათ გამოიყენოთ 0%-იანიც.

ინგრედიენტები ცომისთვის:

- ფქვილი 500 გ.
- ნაღების კარაქი 80 გ.
- რძე 320 მლ.
- შაქარი 5 ს/კ.
- ვანილის შაქარი 1 ს/კ.
- მშრალი საფუარი (დროჟი) 3 ს/კ.
- კვერცხი 1 ცალი.
- მარილი 1 ჩ/კ.

შიგთავსისთვის:

- დღის ხაჭო 500 გ.
- ფქვილი 1 ს/კ.
- კვერცხი 2 ცალი.
- შაქარი 4 ს/კ.

მომზადების წესი:

თბილ რძეში შეურიეთ საფუარი, შაქარი და მარილი. დაუმატეთ ერთი კვერცხი. შემდეგ, ჩააყარეთ ფქვილი და დაუმატეთ დარბილებული კარაქი. მოზილეთ რბილი ცომი და თბილ ადგილას 1 საათი გააჩერეთ. ცომი უნდა გაფუვდეს და გაორმაგდეს.

შიგთავსისთვის შეურიეთ ერთმანეთს ხაჭო, შაქარი, ფქვილი, ერთი კვერცხი და ერთი კვერცხის ცილა. მეორე კვერცხის გული შეინახეთ ფუნთუშებზე ზემოდან წასასმელად.

გაფუებული ცომი გაყავით ორ ნაწილად. თითოეული ნაწილი გააბრტყელეთ თხელ, ოთხკუთხედ ფირფიტად. წაუსვით ორივე ნაწილს ხაჭოს შიგთავსი და დაახვიეთ რულეტის ფორმაზე. დაჭერით რულეტები 4-5 სმ სისქის ნაჭრებად. დადეთ საცხობ სინზე და დატოვეთ სივრცე ფუნთუშებს შორის. სილიკონის ფუნჯით წაუსვით კვერცხის გული და შედგით გახურებულ ღუმელში. აცხვეთ 170 გრადუსზე, 25 წუთი.

2. მარტივი ღვეზელი ლავაშით, ხაჭოთი და ყველით

გემრიელი და მარტივად მოსამზადებელი ღვეზელი ხაჭაპურს მოგვაგონებს, მაგრამ გაცილებით წვნიანი და სასარგებლოა. მასში დიდი რაოდენობით წვნიანი ხაჭოს შიგთავსია, ამას დამატებული ნაღების არომატი ყველისგან, ხოლო თხელი ლავაში თავიდან აგარიდებთ ზედმეტ კილოგრამებს. შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი მწვანილი, თქვენი გემოვნების მიხედვით: ქინძი, მწვანე ხახვი, ოხრახუში, ნიახურის ძირები ან პიტნა.

ინგრედიენტები:

- ხაჭო 390 გ.
- ლავაში 150 გ.
- ყველი 45 გ. (სასურველია სულგუნი, ან „მოცარელა“)
- კვერცხი 1 ცალი.
- მწვანილი (რომელსაც აირჩევთ) 15 გ.
- მარილი.

მომზადების წესი:

ხაჭო გადაიღეთ ჯამში. დაუმატეთ კვერცხი, წვრილად დაჭრილი მწვანილი. აურიეთ. ლავაშის დიდი ფურცელი გაჭერით ოთხ თანაბარ ნაწილად. მართკუთხა საცხობ ფორმაში ჩააფინეთ ფენები, გადაანაწილეთ მასზე ხაჭოს შიგთავსი, ზემოდან მოაყარეთ გახეხილი ყველი. დააფინეთ ლავაშის ბოლო ფენა და წაუსვით კვერცხის გული. ღვეზელი აცხვეთ 200 გრადუსზე, 20-25 წთ. გამოღებისთანავე მიირთვით.

3. გამომცხვარი ვაშლები ხაჭოთი, ნიგვზითა და დარიჩინით

სასარგებლო და დაბალკალორიულ დესერტს თუ ეძებთ, ეს ვარიანტი იდეალურია. უმჯობესია აირჩიოთ მაგარი სახეობის ვაშლი, მაგალითად „ანტონოვკა“, ან „გოლდენი“. შეგიძლიათ, ნიგოზთან ერთად დაუმატოთ ქიშმიში, შავი ქლიავის ჩირი, ან შოკოლადი.

ინგრედიენტები:

- ვაშლი 5 ცალი.
- ხაჭო 200 გ.
- ნიგოზი ნახევარი ჭიქა.
- თაფლი 1 ს/კ.
- დარიჩინი ½ ჩ/კ.

მომზადების წესი:

ამოაჭერით ვაშლს შუაგული ფრთხილად, რომ ვაშლი ბოლომდე არ გაჭრათ.

მოამზადეთ შიგთავსი: ხაჭოს შეურიეთ თაფლი და დაჭრილი ნიგოზი. აურიეთ. გამოტენეთ ვაშლები ხაჭოს შიგთავსით და ზემოდან დარიჩინი მოაყარეთ. საცხობ სინზე დააფინეთ ტყვიის ქაღალდი (ე.წ. „ფოლგა“), მოათავსეთ ვაშლები და აცხვეთ წინასწარ 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში, 30 წთ.

გემრიელად მიირთვით!

როგორ გავაიაფოთ და გავამარტივოთ ყურძნის მოსავლის აღება? – „აგროსფეროსა“ და „მეღვინეობა ხარებას“ წარმატებული პარტნიორობა

ის, რომ აგრომეურნეობის განვითარებისთვის უმნიშვნლეოვანესი თანამედროვე ტექნიკისა და მიდგომების გამოყენება და მასში ინვესტიციის ჩადება ნადვილად ღირს, დავის საგანს აღარ წარმოადგენს. წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდება იმ ქართველ ფერმერთა რიცხვიც, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს ეცნობიან და მათ თავიანთ მეურნეობაში ნერგავენ. ამ გზით კი იმარტივებენ ყოველდღიურ საქმიანობას, ზრდიან მოსავლის ოდენობასაც და საბოლოო პროდუქტის ხარისხსაც.

ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი „მეღვინეობა ხარებაა“. კომპანიის წარმოება უახლეს ევროპულ ტექნოლოგიებს ემყარება, რაც მეურნეობის სწრაფად განვითარებასა და ზრდას უზრუნველყოფს. დღეს ის 30-მდე სახეობის ვაზის ჯიშისგან 50-ზე მეტი დასახელების პროდუქტს ქმნის.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში „მეღვინეობა ხარებას“ წლებია პარტნიორობას აგროსფერო უწევს. ის აცნობს ღვინის მწაროებელს მოწინავე ტექნოლოგიებს, ეხმარება საჭირო ტექნიკის შერჩევა-შეძენაში, მიწოდებასა და პროდუქტის რესურსის სრულად ათვისებაში.

მეღვინეობა ხარებასა და აგროსფეროს თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, მეურნეობაში ვენახის კომბაინის დანერგვაა. სპეციალური დანადგარი ყურძნის მოსავლის აღების პროცესს ავტომატიზებულს ხდის, რაც ამცირებს მუშახელის საჭიროებას, მოსავლის აღების ხანგრძლივობას და, მეტიც, ეხმარება ყურძნის დაუზიანებლად მოკრეფასა და კიდევ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტის შექმნაში.

მეღვინეობა ხარებამ აგროსფეროს რეკომენდაციით არჩევანი PELLENC-ის ფრანგული წარმოების ვენახის კომბაინზე შეაჩერა. ის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხარისხის აგროტექნიკის მწარმოებელია და ინდუსტრიაში ლიდერი პოზიცია უკავია. რადგან მოლოდინებმა გაამართლა, წელს მეღვინეობა ხარებამ PELLENC-ის კიდევ ერთი კომბაინი შეიძინა, რომელსაც დამატებით სელექციური ხაზი აქვს, რისი საშუალებითაც ყურძნის მარცვლები კლერტისგან, ტოტებისა და ფოთლებისგან 99.87 %-ით იწმინდება და ნაყოფის კლერტსაცლელ დანადგარში დამუშავება საჭირო აღარაა. კომბაინის ეს ფუნქცია შესაძლებელს ხდის, ღვინის წარმოების პროცესი ყურძნის საწარმოში ტრანსპორტირებისთანავე დაიწყოს.

აგროსფერო მეღვინეობა ხარებასთან პარტნიორობის მსგავს წარმატების მაგალითებს უკვე თითქმის ორი ათეული წელია ქმნის. ის აგრობიზნესში 2005 წლიდან მოღვაწეობს და მალევე გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და აგროტექნიკის უმსხვილესი დისტრიბუტორი საქართველოში. ამასთან ერთად, კომპანია პარტნიორ ფერმერებს უწევს აგრო-კონსულტაციას, ეხმარება თავიანთ მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების დანერგვასა და მათ ეფექტურად გამოყენებაში.

როგორც მეღვინეობა ხარებას კახეთის რეგიონის მთავარი აგრონომი, ანზორ მღებრიშვილი ამბობს, ვენახის კომბაინმა მოსავლის აღების ხარჯები 8-9-ჯერ გააიაფა. 2020 წლიდან საჭირო გახდა შეგვეძინა ყურძნის საკრეფი კომბაინი. აგროსფეროს რეკომენდაციით შევიძინეთ PELLEINC-ის ფორმის ყურძნის საკრეფი, გამოვცადეთ და უაღრესად კმაყოფილი ვართ და გადავწყვიტეთ შეგვეძინა კიდევ ერთი. კომბაინით აღებით გაიაფდა 8-9-ჯერ ყურძნის კრეფის ღირებულება.

მოსავლის აღების დრო შემცირდა, კომბაინს შეუძლია ერთ საათში აიღოს ერთ ჰექტარზე მოსავალი, 10 ტონამდე ყურძენი. კომბაინს შეუძლია იმუშაოს ბეტონის, რკინის და ხის საყრდენზე გაშენებულ ვენახებში. აქედან გამომდინარე ყურძნის ხარისხი არ ზიანდება. მუშა-ხელის დეფიციტიდან გამომდინარე, უახლოეს პერსპექტივაში საჭირო იქნება ასეთი კომბაინების შეძენა. ახალი კომბაინი აღჭურვილია დამატებითი ოფციებით, რაც განაპირობებს მოკრეფილი ყურძნის სისუფთავეს და ხარისხს, რომელიც აისახება შემდეგ ღვინის ხარისხზე.

მიხეილ გაგუნაშვილი – აგროსფეროს კორპორატიული გაყიდვების დირექტორი – თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვების მიმართულებით ქართველი ფერმერების დაინტერესება ძალიან მაღალია. კლიმატური პირობებიდან და ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ფერმერებმა გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, რათა მიიღონ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი მოსავალი. აგროსფერო ფერმერებს ხელს უწყობს მათ მეურნეობაში საჭირო ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია „მეღვინეობა ხარება“, რომელმაც შეიძინა ფრანგული კომპანიის PELLENC-ის კომბაინი. ეს მეტად მნიშვნელოვანია მათი წარმოებისთვის, რათა მაღალხარისხიანი ღვინის მისაღებად საჭიროა ხარისხიანი ყურძენი. ამ კომბაინის საშუალებით შესაძლებელია დროის მცირე მონაკვეთში მეტი მოსავლის მოკრეფა და წარმოებისთვის მიწოდება, რაც მინიმუმამდე ამცირებს გარე მავნე ზემოქმედებას ყურძენზე.

ზოლტან სომბათი – აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ექსპერტი-მენეჯერი

– 6-7 წლის წინ, როცა საქართველოში დავიწყეთ აქტივობა არჩევანი „აგროსფეროს“ სასარგებლოდ გავაკეთეთ. მევენახეობასა და მეღვინეობაში გამოცდილება ჩვენთვის მნიშნელოვანია, რადგან საჭიროა არსებობდეს ჩამოყალიბებული ურთიერთობა მიმწოდებელსა და მევენახეებს შორის.

PELLENC-ის ვენახის კომბაინების ლიდერი კომპანიაა და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ტექნიკის განვითარება და წარმოება. დღეის მონაცემებით წელიწადში დაახლოებით 400-600 კომბაინს ვყიდდით. ამიტომ PELLENC-ის მნიშვნელოვანია ვენახის კომბაინების წარმოება და მათი ტექნიკური შესაძლებლობების სრულყოფა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ PELLENC-მა კომბაინების წარმოება გვიან დაიწყო, ვიდრე მისმა კონკურენტმა კომპანიებმა, მაგრამ მალევე მოახერხა გამხდარიყო ლიდერი კომპანია.

რატომ არის მევენახისთვის საჭირო კომბაინის გამოყენება?

პირველი მიზეზი ის არის, რომ წლიდან წლამდე სულ უფრო ცოტა ადამიანს სურს ვენახში მუშაობა და ეს პრობლემა მხოლოდ დასავლეთ ევროპას არ ეხება. ჩვენ არ გვყავს საკმარისი მუშახელი სოფელში სამუშაოდ, ამ დროს ვენახის ერთ კომბაინს 60-80 ადამიანის ჩანაცვლება შეუძლია. გარდა ამისა მუშა-ხელის მოყვანა სხვა ადგილებიდან გვიწევს, რისთვისაც უნდა გავწიოთ სოლიდური ხარჯი მათ ტრანსპორტირებაზე, კვებაზე, დაბინავებაზე და ანაზღაურებაზე. ეს კი საკმარისად ძვირი ჯდება და დიდ დანახარჯებს მოითხოვს. მოსავლის კომბაინით აღებისას კი საჭიროა ორი მძღოლის და 4-6 მისაბმელიანი ტრაქტორის გამოყენება. ასეთ ვითარებაში 8-10 ადამიანი სრულიად საკმარისია. გარდა ამისა ყოველდღიურად მცირდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც რთველში მუშაობას მოისურვებენ.

კომბაინის გამოყენების კიდევ ერთი უპირატესობა ღვინის ხარისხს უკავშირდება. ადრე მევენახეებს ეჭვი ეპარებოდათ იმაში, რომ მისი გამოყენებით ღვინის ხარისხის გაზრდას შეძლებდნენ. დღეს კი აღიარებენ, რომ კომბაინის გამოყენებით ეს შესაძლებელია.

გარდა ამისა, სექტემბერში როგორც სამხრეთ ევროპაში, ისე საქართვლოშიც ტემპერატურა 37-38 გრადუსამდე ადიოდა, ასეთ სიცხეში კი, ყურძნის ხელით კრეფისას, ყურძენი დიდხანს ყოვნდება მზეზე, რაც მის გადახურებას იწვევს და იკლებს მისი ხარისხი. კომბაინით კი მოსავლის აღება საკმაოდ სწრაფად ხდება, 15-20 წუთში შესაძლებელია აავსო კონტეინერი და და ყურძნის დაწურვაც სწრაფად და მარტივადაა შესაძლებელი, ეს კი ძალიან მიშვნელოვანია ხარისხიანი ღვინის მისაღებად. ამასთან ერთად, განსაკუთრებით თეთრი ღვინის მომზადებისას, საჭიროა ყურძენი სიგრილეში დაიკრიფოს, თუ ასე არ მოხდა, საჭირო ხდება დიდი ენერგიის დანახარჯით მისი გაგრილება. კომბაინის გამოყენებით კი ღამითაც შესაძლებელია მუშაობის დაწყება, ეს კი მუშახელით შეუძლებელია. ასე, რომ კომბაინს დიდი უპირატესობები გააჩნია – აგვარებს არასაკმარისი მუშახელის პრობლემას, აიაფებს პროცესს მოსავლის მუშახელით აღებასთან შედარებით და გვეხმარება ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაში.

P.S. წლევანდელმა რთველმა ნათლად გვაჩვენა ურთულესი პრობლემა, რომელიც მუშახელის უკმარისობით იყო განპირობებული. მომავალში კიდევ უფრო გაუარესდება მდგომარეობა კახეთში. პრობლემის მოგვარება ყურძნის საკრეფი კომბაინების რაოდენობის ზრდით არის შესაძლებელი. ვენახების მფლობელი და ღვინის წარმოების კომპანიებმა უნდა მიბაძონ „მეღვინეობა ხარებას“ და რთველის ორგანიზებულად ჩატარების, დანახარჯების შემცირების და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიძინონ ახალი ტექნიკა, რაც მუშახელის დეფიციტს მნიშვნელოვნად შეამცირებს და მცირე ფართობის მქონე მევენახე ფერმერებსაც შეღავათი მიეცემათ.

მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

საშემოდგომო ხორბლის თესვისთვის ნიადაგის დამუშავება

საქართველოში, ხორბლის კულტურა ძირითადად წარმოდგენილია მის აღმოსავლეთ ნაწილში. ითესება შემოდგომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში, ასევე ადრე გაზაფხულზე.

ნიადაგის დამუშავება

თესვამდე ნიადაგი უნდა დამუშავდეს არანაკლებ 15-20 დღით ადრე.

საშემოდგომო ხორბლისათვის ნასიმიდნარი უმჯობესია ჯერ მძიმედისკოებიანი იარაღით დამუშავდეს და შემდეგ 22-25 სმ-ზე მოხდეს წინმხვნელიანი გუთნით ჩახვნა. ასევე ტარდება სასილოსე ნასიმინდარის დამუშავება.

ხნულის დასარევლიანების შემთხვევაში საჭიროა კულტივაცია-დაფარცხვის ჩატარება. სარეველებისაგან და ფესურიანი სარეველებისგან სუფთა ან უმნიშვნელო რაოდენობის შემცველი მინდორი უნდა დამუშავდეს 14-16 სმ. სიღრმეზე საოში გუთნით, ზედმიბმული ფარცხით.

ანალოგიურად უნდა დამუშავდეს ნამზესუმზირალი მინდვრები გარე კახეთში, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების უკანა მხარეში. ნამზესუმზირალი და ნასიმინდარი მინდვრები თესვის წინ უნდა დამუშავდეს მხოლოდ დისკოებიანი ფარცხით, ზედმიბმული ზიგზაგით. რეკომენდებულია ხორბლის ზედიზედ ორ წელიწადს თესვა.

საშემოდგომოდ დათესილი ხორბლის აღების შემდეგ ნაწვერალი ნახევრად ანეულის წესით უნდა დამუშავდეს. ნაწვერალი იხვნება წინასწარი აჩეჩვის გარეშე, თავთავიანი კულტურის აღებისთანავე, 22-25 სმ სიღრმეზე. სარეველების გამოჩენისთანავე ტარდება დაფარცხვითი კულტივაცია.

ასეთივე წესით უნდა დამუშავდეს სამარცვლე პარკოსანი კულტურები – ლობიო, სოიო და მწვანე საკვებად ან თივად ნათესი ერთწლოვანი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურებით დაკავებული მინდორი.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე მრავალწლოვანი ბალახების კორდის მოხსნა რეკომედებულია 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე წინმხვნელიანი გუთნით 25-27 სმ სიღრმეზე.

ურწყავ ადგილებში კორდი უნდა მოიხნას ბალახნარის პირველი გამოჩენისთანავე. კორდის თესვისწინა დამუშავება, ნასიმინდარის მსგავსად, უნდა ჩატარდეს მხოლოდ მძიმე დისკოებიანი ფარცხით. საგაზაფხულო ხორბლის დასათესად მზრალი უნდა დაიფარცხოს ხნულის გარდიგარდმო.

ქარისმიერი ეროზიის ზონებში (დედოფლისწყარო, სიღნაღის უკანა მხარე, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, მცხეთის, საგარეჯოს რაიონები) სარწყავ მიწებზე მრავალწლიანი ბალახების კორდი უნდა დამუშავდეს ბელტის გადაუბრუნებლად ბრტყელმჭრელი კულტივატორით 8-10 სმ სიღრმეზე, ზედაპირზე ნაწვერალის შენარჩუნებით, აგვისტოს მესამე დეკადიდან სექტემბრის მეორე დეკადამდე.

6-8 დღის შემდეგ დამუშავება ტარდება ბრტყელმჭრელი ღრმად გამაფხვიერებელით 25-27 სმ სიღრმეზე. თესვის წინ ნიადაგი მუშავდება ფარცხით.

ურწყავ მიწებზე კორდი პირველი გათიბვისთანავე უნდა დამუშავდეს ბრტყელმჭრელი კულტივატორით 8-10 სმ სიღრმეზე, 6-8 დღის შემდეგ გაფხვიერება ხდება 25-27 სმ სიღრმეზე ღრმადმჭრელი ღრმადგამაფხვიერებლით. თესვის წინ ტარდება ფარცხვა.

ნასიმინდარ და ნამზესუმზირალ მინდორში ჯერ უნდა ჩატარდეს სიმინდისა და მზესუმზირის ღეროების დაქუცმაცება დისკოებიანი ფარცხით, ხოლო შემდეგ დამუშავდეს ბრტყელი მჭრელი ღრმადგამაფხვიერებლებით 22-25 სმ სიღრმეზე. თესვის წინ ტარდება ფარცხვა.

თავთავიანების ნაწვერალი უნდა დამუშავდეს ბრტყელმჭრელი ღრმად გამაფხვიერებელით 22-25 სმ სიღრმეზე, ხოლო თესვამდე – ბრტყელმჭრელი კუტლივატორით 8-10 სმ-ზე. თესვის წინ ტარდება ფარცხვა.

წყლისმიერი ეროზიის ზონებში ხვნა, ხნულის დამუშავება, თესვა და ნათესის მოვლის სამუშაოები ტარდება ფერდობის გარდიგარდმო მიმართულებით.

წინამორგედი კულტურები

ხორბლის დასათესად ნიადაგის მომზადებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა წინამორბედ კულტურას ენიჭება.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე ხორბლის შემოდგომით დასათესად სასურველი წინამორბედებია: მოკლე ვეგეტაციის სამარცველე სიმინდი, სასილოსე სიმინდი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, მრავალწლიანი ბალახების კორდი, სანაწვერალო კულტურები, სამარცვლე პარკოსანი კულტურები – სოიო, ლობიო, მუხუდო. ურწყავ პირობებში სასურველი წინამორბედებია: სამარცვლე პარკოსანი კულტურები, სასილოსე სიმინდი, სიმინდი მწვანე საკვებად, ფართე მწკრივად (70X210 სმ) ნათესი სამარცვლე სიმინდი, ერთწლოვანი პარკოსნებისა და მარცვლოვნების (შვრიანარევი ბარდა ან ცერცველა) ნარევი მწვანე საკვებად, მრავალწლიანი პარკოსნების კორდი.

ასევე დასაშვებია ხორბლის ერთი და იმავე ჯიშის ორ წელიწადს ზედიზედ დათესვა. რეკომენდებულია შავი ანეული და მოთესილი ანეული.

**ოთარ ლიპარტელიანი,
გულნარი ჩხუტიაშვილი,
ნატო კაკაბაძე,
ფილარეტ ბეგოიძე,
ზეინაბ სარალიძე**

მეტი ყურადღება შვრიის კულტურას (თესვის შესახებ)

შვრია ეკუთვნის ძველი კულტურების რიცხვს, მაგრამ მისი მოყვანა ხორბალთან, ქერთან და ფეტვთან შედარებით გვიან დაიწყო.

შვრია ევროპული ქვეყნებისათვის უფრო ადრე გახდა ცნობილი, რადგან ჩრდილოეთის ქვეყნები უფრო ტენით მდიდარია. ამიტომ შვრია ფართოდაა გავრცელებული გერმანიაში, ნორვეგიაში და შოტლანდიაში.

პურეულის მსოფლიო წარმოებაში შვრიის სათესი ფართობი მეექვსე-მეხუთე ადგილზეა. საქართველოში შვრიის ფართობი უმნიშვნელოა და იგი ძირითადად საქონლის საკვებად მოჰყავთ.

შვრიის გამოყენება

უკანასკნელ ათ წელიწადში შვრიის კულტურისადმი ინტერესი გაიზარდა მისი, როგორც სასურსათე და სამკურნალო თვისებების მქონე მცენარისა, რომლის საკვებ ღირებულებასაც განსაზღვრავს მის მარცვალში შემავალი ცილები (9,0-19,5%), სახამებელი (40-56%) და ცხიმები (4-6%).

მარცვალი გამოიყენება ბურღულეულის, ხოლო ხორბალთან ნარევში საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად. შვრიის ქიმიური შენაერთები უმაღლესი ხარისხისაა და იგი ძვირფასი სასურსათე პროდუქტია, რომელიც ადვილად მონელებადია.

შვრიიდან დამზადებული პროდუქტები მნიშვნელოვანია დიეტურ და ბავშვთა კვებაში. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება შვრიის ფქვილზე, ბურღულზე და ყავაზე, ყველა ეს პროდუქტი ხასიათდება ანტიალერგიულობით.

გასაოცარია შვრიის სამკურნალო თვისებები, რომელზედაც ჰიპოკრატეც მიუთითებდა. შვრიას აქვს აღდგენითი ეფექტი, გამოიყენება ტუბერკულიოზის სამკურნალოდ, ფილტვის დაავადებების დროს, ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის გასაძლიერებლად. გამოიყენება ღვიძლის სამკურნალოდ, ალერგიული დაავადებების დროს, აღადგენს გულის რითმს, აწესრიგებს ნერვულ სისტემას.

შვრიის წყალხსნარი გამოიყენება შარდმდენად და თირკმელების დაავადებების დროს. მწვანე შვრია გამოიყენება ორგანიზმის გასაწმენდად, დაღლილობის, უძილობის, არასაკმარისი მადის დროს. შვრიას აქვს სკლეროზის საწინააღმდეგო ეფექტი.

შვრია კარგი საკვებია შინაური ცხოველებისა და ფრინველებისათვის. შვრიის ჩალა და ბზე კვებითი ღირებულებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა კულტურების იგივე ანარჩენები. პარკოსან ბალახებთან ნარევი შვრია კარგია მწვანე საკვებად და თივად.

შვრიას ხშირად თესავენ ცერცველასთან ნარევში. ცერცველა-შვრიის ნარევი ერთერთი საუკეთესოა დაკავებულ ანეულზე დასათესად, იგი იძლევა დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვან მწვანე საკვებს ან თივას და ადრე ათავისუფლებს მინდორს ნიადაგის მოსამზადებლად საშემოდგომო კულტურებისათვის.

შვრიის სახეობები

შვრიას გააჩნია სახეობათა დიდი მრავალფეროვნება, რომელთა შორის არის მრავალწლოვანი და ერთწლოვანი, კულტურული და ველური ფორმების 70-მდე სახეობა. პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს 11 სახეობას, რომელთაგან საქართველოში ძირითადად გავრცელებული გვხვდება ორი სახეობის: კულტურული შვრია (Avena sativa L.), ხასიათდება გვალვაგამძლეობით და მლაშე ნიადაგებისადმი შეგუებულობით და ველური შვრია – შვრიუკა (Avena Fatua L.), ასარევლიანებს პურეულის ნათესებს და მინდვრის კულტურებს.

შვრიის ბიოლოგიური თავისებურებები

შვრია თვითგამანაყოფიერებელი მცენარეა, მაგრამ მის ნიშანთვისებებს ახასიათებს ფართო ცვალებადობა. შვრიის თესლი, კილებით არის დაფარული, ამის გამო მის გაღივებას შედარებით მეტი დრო და წყალი ჭირდება.

შვრია სითბოსადმი არ არის მომთხოვნი, იგი ზომიერი ჰავის მცენარეა. აღმოცენებიდან ყვავილედის გამოტანამდე შედარებით გრილი ამინდიდან კმაყოფილდება. თესლი გაღივებას იწყებს 3-4ºC ტემპერატურაზე.

გაზაფხულის სუსხს – 3-4ºC-ს კარგად იტანს. ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურაა აღმოცენების შემდგომ პირველ ოთხ კვირაში 10-12ºC. ისეთ პირობებში თუ ტენი საკმარისია, კარგად ვითარდება და ნაკლებად ზიანდება მავნებლებით. მაღალი ტემპერატურის მიმართ უფრო მეტად მგრძნობიარეა, ვიდრე ხორბალი და ქერი.

შვრია ნიადაგისადმი უფრო ნაკლებ მომთხოვნია, ვიდრე სხვა საგაზაფხულო პურეული, რაც გამოწვეულია კარგი ფესვთა სისტემით და მისი მაღალი შეთვისებადობით. იზრდება ქვიშნარ, თიხნარ და ტორფიან ნიადაგებზე. ამავე დროს შვრია დადებითად ეხმაურება ნიადაგის ნაყოფიერებას.

კარგი მოსავალი მიიღება შავმიწებზე საკმარისი ტენიანობის დროს. სხვა კულტურებზე უკეთესად ცხოველმყოფელობს მჟავე ნიადაგებზე. მშრალ ქვიშიან ნიადაგებზე წყლის ნაკლებობა იწვევს წვრილთესლიანობას, ცუდ ამოვსებულობას, გადიდებულ კილიანობასა და ფხიანობას. შვრიის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მაღალი მოსავლის მისაღებად, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია სპეციფიკურია.

შვრია რეალურად ყოველთვის ავადდება სოკოვანი დაავადებით (ჟანგა, გუდაფშუტა), ადვილად ზიანდება ამიტომ თესლის შეწამვლა აუცილებელია.

მაღალი მოსავლის მიღების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მაღალხარისხოვანი თესლით თესვა. სათესლედ მხოლოდ მსხვილი მარცვლები უნდა გამოვიყენოთ.

შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას იძლევა ვთესოთ, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე. ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც შემოდგომის ნათესი, კლიმატური პირობების გამო სამეურნეო მნიშვნელობას კარგავს, ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა.

ამ თავისებურების გათვალისწინებით საშემოდგომო თესვა ემთხვევა საშემოდგომო ხორბლის თესვის პერიოდს, საგაზაფხულო თესვა შესაძლებელია ჩატარდეს ადრე გაზაფხულზე, დაზიანებული საშემოდგომო ნათესების გადასათესად, ან საგაზაფხულო თავთავიანების თესვის პერიოდში.

თესვის სქემა

მწვანე საკვებად თესვის დროს საჭიროა 240-250კგ/ჰა-ზე მარცვალი დათესოს ვიწრო მწკრივებად. სამარცლე შვრიის თესვის ნორმაა 180-220კგ/ჰა-ზე. მარცვალი უნდა აკმაყოფილებდეს დანესებულ მოთხოვნებს თესლის სისუფთავესა და გაღივების უნარზე.

შვრია სწრაფმზარდი მცენარეა, უხვი ამონაყრით. ერთ ჰექტარზე ორ ტონამდე მწვანე მასას იძლევა, მწვანე საკვებად და სენაჟად, იყენებენ თივადაც, თუმცა ხარისხით ბალახის თივას ჩამოუვარდება. მარცვლის მოსავალი მერყეობს 1.2-დან 2.0 ტ/ჰა-მდე.

თესლბრუნვაში შვრიის მოთავსება შესაძლებელია ყველა კულტურის შემდეგ. უკეთესია სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებული მინდორი. დაუშვებელია ზედიზედ თესვა. შვრია კარგი წინამორბედია სათოხნი კულტურებისათვის, ტოვებს სუფთა ნიადაგს.

შვრიისათვის სასურველია ნიადაგის მზრალად მოხვნა, გაზაფხულზე ხნულის გაფხვიერება და დაფარცხვა. თესვისწინა დამუშავება, სათესლე მასალის მომზადება, თესვა, ნათესის მოვლა და სხვა აგროღონისძიებები იმავე ვადებში და წესით სრულდება, როგორც საგაზაფხულო ხორბალში და ქერში. შვრიის საკვებეტაციო პერიოდი გრძელდება 80-120 დღე.

პერსპექტიული ჯიში

ფერმერულ მეურნეობებში და კერძო ნაკვეთებზე შვრიის მოყვანას ხელს უშლის გავრცელებული ჯიშების დაბალმოსავლიანობა, ჩაწოლისადმი მიდრეკილება, მარცვლის ცვენადობა და ხშირ შემთხვევაში გაზაფხულზე თესლის დეფიციტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 2014 წლიდან დაწყებულია შვრიის სასელექციო მასალის შესწავლა.

შესწავლის შედეგად გამორჩეული და გამრავლებულია პერსპექტიული ჯიში „არგო“, რომელიც ხასიათდება მაღალმოსავლიანობით, მაღალხასხიანობით, ჩაწოლისადმი გამძლეობით, დაავადებების და მავნებლებისადმი იმუნიტეტით, მდგრადია მარცვლის ჩაცვენისადმი და შეუძლია მყარი მოსავლის მოცემა.

შვრიის კულტურის პოპულარიზაცია

შვრიის კულტურის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარცვლის გადამამუშავებელი საწარმოების ჩართვას. კულტურის კომერციალიზაცია ხელს შეუწყობს ფერმერთა დაინტერესებას და მკვეთრად გაზრდის შვრიის ფართობს. შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას მოგვცემს ვთესოთ, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე.

ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც შემოდგომის (სხვა მცენარეთა) ნათესი, კლიმატური პირობების გამო სამეურნეო მნიშვნელობას კარგავს, ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა. შესაძლებელია გამეჩხერებული ნათესის გადათესვაც და იგივე ფართობზე შვრიის საზაფხულო სუფთად თესვაც. სხვა თავთავიან მარცვლოვანთა თესლბრუნვაში შვრიის თესვა უარყოფით შედეგს არ იძლევა.

დასკვნა ერთია, შვრია მრავალმხრივი მოხმარების საუკეთესო საკვები, სასურსათე, სამკურნალო კულტურაა, რომელსაც შეუძლია ფერმერებს დაეხმაროს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებაში, მოსავლის დაზღვევაში და მოგების გარანტირებულ მიღებაში.

ცოტნე სამადაშვილი,
ნანა ჩხუტიაშვილი,
ნუგზარ გენდიანიშვილი
სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

საშემოდგომო ჭვავი

საშემოდგომო ჭვავი – თავთავიანი პურეულების მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

ჭვავის ფქვილისაგან გამომცხვარი პური გამოირჩევა დიეტური დანიშნულებით და მაღალი კალორიულობით. განსაკუთრებული გემოთი და ხარისხით.

ის შეიცავს ბალანსირებულ ცილებს და ვიტამინებს (A,B,B, PP და E). მარცვალი შეიცავს 9,2-17% ცილას. მისი ქატო და ღერღილი კონცენტრირებული საკვებია.

ცხოველებისათვის ნამჯა გამოიყენება, როგორც უხეში საკვები და სასილოსე მასალა. მისი ნამჯისაგან შეიძლება მიღებული იქნეს შესახვევი ქაღალდი, ცელულოზა, ძმარი და სხვა საჭირო საქონელი.

ჭვავი ხორბალთან, ქერთან და სხვა მარცვლოვნებთან შედარებით ახალგაზრდა კულტურაა, მიუხედავად ამისა ის ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. მოსავლიანობა ქვეყნებისა და ჯიშების მიხედვით ცვალებადობს.

მისი თესლი გაღივებას იწყებს 1-2ºC სითბოზე. აღმოცენებისათვის კი საჭირო ოპტიმალური ტემპერატურაა 6-12ºC, კარგად ბარტყობს 10-12ºC ტემპერატურაზე.

მოყვანის ოპტიმალურ პირობებში 25-30ºC ყინვას უძლებს. კარგად თავთავობს და ყვავილობს 14-16ºC სითბოს პირობებში. განვითარების სრული ციკლისათვის ესაჭიროება 1800ºC სითბოს ჯამი.

ჭვავი შედარებით გვალვაგამძლე მცენარედ ითვლება. მისი ტრანსპირაციის კოეფიციენტია 340-420. შედარებით ნაკლებ მიმთხოვნია ნიადაგის მიმართ. მისთვის საუკეთესო ნიადაგად ითვლება მსუბუქი ტიპის დაბალი ტენტევადობის ნიადაგები.

საშემოდგომო ჭვავი ხშირად, ბარტყობას შემოდგომაზევე ამთავრებს და მალე იწყებს აღერებას, მაგრამ თავთავობა და ყვავილობა გაჭიანურებულია. ის ყვავილობას იწყებს თავთავობიდან 12-14 დღის შემდეგ და გრძელდება 10-12 დღე. ჯვარედინმტვერია მცენარეა.

საშემოდგომო ჭვავი 8-10 დღით ადრე მწიფდება, ვიდრე საშემოდგომო ხორბალი. თავთავებიდან მარცვლის გამკვრივებამდე საჭიროებს 55-60 დღეს.

სავეგეტაციო პერიოდი ზონების მიხედვით 270-400 დღემდეა. ნაკლებ მომთხოვნია წინამორბედებისადმი, უკეთესია ანეული და პარკოსანი კულტურებისაგან განთავისუფლებული ფართობები.

ნიადაგის დამუშავება ისეთივეა, როგორც საშემოდგომო ხორბლისათვის, თითქმის ანალოგიურია თესვის ვადებიც. სათესი ნორმა 6-7 მილიონი აღმოცენების უნარიანი მარცვალი (170-200კგ/ჰა).

ნათესის მოვლა – გაზაფხულზე მსუბუქი ფარცხით დაფარცხვა, სარეველებისაგან გასუფთავება.

ჭვავს ახასიათებს მარცვლის ჩაცვენა, ამიტომ აღებული უნდა იქნეს როცა მარცვლის ტენიანობა 35-20% და რაც შეიძლება შემჭიდროვებულ ვადებში.

სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა დოქტორი
თინათინ დარსაველიძე

გულყვითელა (კალენდულა) – სამკურნალო თვისებები

გულყვითელა (კალენდულა, ლათ. Calendula officinalis) 20-50 სმ სიმაღლის, ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან.

ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი. ფოთლები ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული, ქვედა ყუნწნიანია, წაგრძელებული, კვერცხისებრი, ზედა – მჯდომიარე, მოგრძო, ან ლანცეტისებრი.

კალათა მსხვილია, დიამეტრით 4-9 სმ, რომელიც ყლორტის ბოლოზეა

მოთავსებული. გვერდითი ყვავილები ყვითელი ან მკვეთრი-ნარინჯისფერია,

ბუტკოიანი, განლაგებულია რამდენიმე რიგად. ნაყოფი – მოლუნული, მოყვითალო, ყავისფერი ან ნაცრისფერი თესლია.

გულყვითელა ყვავილობს ივნისიდან გვიან შემოდგომამდე. თესლი მწიფდება აგვისტოდან.

გულყვითელა კარგად ხარობს ნესტიან, ნაყოფიერ და კარგად დამუშავებულ ნიადაგში. საქართველოში გავრცელებულია როგორც კულტურული, დეკორატიული და სამკურნალო მცენარე. ითესება ადრე გაზაფხულზე.

ნედლეულად აგროვებენ სრული ყვავილობის დროს ყვავილედს, როდესაც მასზე ენისებრი ყვავილები ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია. წყვეტენ ყვავილედს ძირში, ხელით. ერთ სეზონზე შეიძლება რამდენიმეჯერ მოიკრიფოს ყვავილები.

მოკრეფილი ყვავილები სწრაფად უნდა გაშრეს ჩრდილში, კარგი ვენტილაციის პირობებში. გამშრალად ითვლება ყვავილედი თუ ზეწოლის შედეგად ის იშლება.

გამშრალი ყვავილების შენახვა შეიძლება ბნელ ადგილას 2 წლის განმავლობაში.

გულყვითელას კალათა ყვავილედი შეიცავს კაროტინს, ლიკოპინს, ვიოლაკსატინს, ციტროკსანტინს, სიტოსტერინს, ფისებს, ვაშლის, სალიცილის, ასკორბინის მჟავებს.

გულყვითელას ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ, ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემახორცებელ საშუალებას.

გულყვითელას ნაყენის ხშირი გამოვლება პირის ღრუში ეფექტური საშუალებაა ღრძილების ანთების საწინააღმდეგოდ, ამცირებს ან სრულიად წყვეტს ღრძილებიდან სისხლის დენას, ამაგრებს ღრძილების ქსოვილს. მის ნაყენს ივლებენ აგრეთვე ტონზილიტისა და ანგინის დროს.

გულყვითელას ნაყენის დალევა აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამცირებს შეუუპებას. იგი ასევე კარგად მოქმედებს გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტებისა და ენტეროკოლიტების დროს.

განსაკუთრებით ეფექტურია გულყვითელას გამოყენება სააფთიაქო გვირილასა და ფარსმანდუკთან ერთად.

გულყვითელას და სააფთიაქო გვირილის ნაკრები გამოიყენება როგორც ანტიბაქტერიული, სპაზმოლიტური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, აგრეთვე ნაღვლის სადინარების სამკურნალოდ.

გულყვითელას ნაყენი

გულყვითელას ნაყენის მისაღებად 20 გრ ყვავილი (2 სუფრის კოვზი) მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავზე და ადუღეთ წყლიან აბაზანაში 15 წუთის განმავლობაში, ხშირად ურიეთ, შემდეგ გააცივეთ 45 წუთის განმავლობაში, გადანურეთ, დარჩენილი მასა გამოწურეთ. მიღებული ნაყენი გააზავეთ ანადუღარი წყლით, საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. ნაყენი შეინახეთ გრილ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ თბილი 1-2 სუფრის კოვზი 2-3-ჯერ დღეში ჭამის წინ კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს.

პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად 1 სუფრის კოვზ ყვავილს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს.

პროქტიტების დროს იკეთებენ გულყვითელას ნაყენის ოყნებს (1 ჩაის კოვზი ნაყენი, 1/4 ჭიქა წყალზე).

გულყვითელას სპირტიანი ნაყენი იყიდება აფთიაქებშიც მიიღება 30 წვეთიდან 1 ჩაის კოვზამდე 2-3-ჯერ დღეში.

სხვადასხვა ხალხურ მედიცინაში გამოიყენებენ ისეთი დაავადების სამკურნალოდ როგორიცაა ნევრასთენია, კლიმაქსი, კანის დაავადებები, პარონდონტოზი, სტომატიტი.

გულყვითელა შედის მრავალი წამლისა და მალამოს შემადგენლობაში.

ს.ჩაგელიშვილი, მ.გოგორიშვილი
***გამოიყენეთ ექიმის რეკომენდაციის**
გათვალისწინებით

როგორ შეიძლება ფეისბუქი ფერმერს დაეხმაროს

ნიდერლანდელი ფერმერის კის ჰამელნიკის ქლიავის მოსავალი, ჩვეულებრივ სუპერმარკეტებში უნდა გაყიდულიყო, მაგრამ გვალვის გამო ნაყოფი ძალიან წვრილი გამოვიდა და სავაჭრო ქსელების სტანდარტში არ ჩაჯდა. ფერმერმა გამოსავლის ძებნა დაიწყო და პრობლემა სოციალური ქსელით გადაჭრა. კის ჰამელნიკმა ფეისბუქზე აქტიური კამპანია დაიწყო და მისი მეშვეობით ერთი კვირის განმავლობაში 60 ტონა ქლიავი გაყიდა.

მოსახლეობა არასტანდარტულ, მაგრამ გემრიელ ხილს სიამოვნებით ყიდულობდა.

უნალექობის გამო ქლიავის ნაყოფი მიღებულ ზომაზე მცირე იყო, თუმცა მოსავლისთვის მნიშვნელოვანი რესურსი დაიხარჯა. „მე ვხედავ ყოველწლიურად ხარჯები როგორ იზრდება, შემოსავალი კი არა“ აღნიშნა ფერმერის დამ ანემიკმა. სწორედ ანემიკმა გადაწყვიტა დაეწყო ფეისბუქზე კამპანია „გადაარჩინეთ ქლიავი“. მოსახლეობა კამპანიის დაწყების პირველივე დღიდან გააქტიურდა, მებაღის მხარდაჭერა უამრავმა ადამიანმა მოინდომა.

მოწოდება „გადაარჩინეთ ქლიავი“ 5000 ჯერ გააზიარეს, ამას ჰოლანდიის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ჩართვა მოჰყვა, პრესა აკრიტიკებდა სავაჭრო ქსელების პოლიტიკას, რომელიც სასურსათო ნარჩენების გაზრდას იწვევს.

სოციალური ქსელის დახმარებით მთელი მოსავალი ერთი კვირის განმავლობაში გაიყიდა.

volkskrant.nl

გახსენება

ბადრი სეფაშვილი

ახოვანი, სანდომიანი სახის და ერთობ დახვეწილი იერის ვაჟკაცი, მეტყველი თვალებითა და თბილი გამოხედვით. ნიჭიერი და შეუპოვარი დასახული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში. გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანებთან ურთიერთობაში, დიდთან დიდი და პატარასთან – პატარა, მეგობრობაში უღალატო, სხივისი ჭირისა და ლხინის უანგაროდ გამზიარებელი.

ასეთი დაგვამახსოვრდა იგი, ამ ცხოვრებიდან ასე მოულოდნელად და უდროოდ წასული ნაღდი ყვარლელი კაცი.

დიდებულ ქართულ ოჯახში გაზრდილი ასევე დიდებული და კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება.

ბადრი სეფაშვილი!

ერთი წელი შესრულდა მისი ტრაგიკული აღსასრულიდან, რამაც მოუშუშებელი იარები დაგვიტოვა გულში, იარები, რასაც ყველაფრის მსახვრალი დროის დინება ვერასოდეს გააქარვებს.

შესანიშნავი ექიმი და პრაქტიკოსი, ჩინებული ქირურგი, კოლეგებს შორის მეტად ავტორიტეტული და ამავე დროს თავმდაბალი, როგორც შეშვენის ღირსებებით აღსავსე მის თაობას!

როგორც მაღალპროფესიულმა ქირურგმა, მან დიდი აღიარება ჰპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც – აფრიკის ქვეყნებში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და დაუცხრომელი შრომითა და გარჯით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში მას უკვე სამხედრო ექიმის საპასუხისმგებლო მოვალეობა დაეკისრა და როგორც სამშობლოს ერთგულმა შვილმა, პირნათლად მოიხადა ეს უდიდესი ვალი. საკმარისია იმის გახსენებაც, რომ დასტაქარს, რომელმაც დაღლა არ იცოდა თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, ლეგენდარული ქირურგი უწოდეს იქ, ბრძოლის წინა ხაზზე!

სწორედ აქედან გამომდინარე იყო, რომ მისი დამსახურების საპატივსაცემოდ იგი სამხედრო პატივით დაიკრძალა.

ასეთი იყო ბადრი სეფაშვილი!

ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო, აქაც და იქაც, იგი ყველაფერს ასწრებდა, ნებისმიერი პრობლემისა და სირთულის დაძლევის უნარი გააჩნდა.

მაგრამ მუხთალია წუთისოფელი... ათასობით სხვისი სიცოცხლის გადამრჩენელი დასტაქარი თავად უძლური აღმოჩნდა უკურნებელი სენის წინაშე, რომელმაც მოულოდნელად მთელი სიმძაფრით იჩინა თავი...

სამწუხაროა, რომ ასეთი კაცის გახსენების შესახებ ასე ნაადრევად გვიწევს მოგონებების წერა.

იგი მართლაც დიდებული ოჯახის დიდებული შვილი გახლდათ, ღირსებებით აღსავსე კაცის ღირსეული შთამომავალი.

განგებამ ინება და ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად მამა-შვილი, ორივენი ჩემი მეგობრები იყვნენ. სანდრო, დაუვიწყარი სანდალა და ბადრი, მისი პირმშო. სანდრო მართლაც დიდი კაცი გახლდათ, ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით, თავისი უზადო ათლეტური აღნაგობითა და არისტოკრატიული შეხედულებით, შესანიშნავი სპორტსმენი, სახელხმიანი ხელმძღვანელი მუშაკი, შეუდარებელი მეგობარი, ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი და კარგი შვილების აღმზრდელი მშობელი.

ახლა მამა და შვილი ერთად განისვენებენ ზეციურ სასუფეველში. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ ვიდრე ამ წუთისოფელში არსებობა გვიწერია, მოვიგონოთ და დავიწყებას არ მივცეთ მათი ხსოვნა.

ეს სტრიქონებიც სწორედ ამ ტკივილიანი ხსოვნის გამოძახილია!

ალიმან ლაფაჩიშვილი

კუჭატნის საჯარო სკოლა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის ნელი გაიპარაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

კარზე მოგვადგა ბირთვული ზამთრის ათასწლეულები, თუ...

უკიდურესად იძაბება ზოგადად სიტუაცია. ეტყობა მეტად დიდ მსხვერპლს ითხოვს „ახალი მსოფლიო წესრიგი“.

როცა მანჰეტენის პროექტი დასრულდა და 1945 წელს პირველი ატომური ბომბი გამოცადეს, მისმა „მამამ“ ოპენჰაიმერმა, რომელიც წინა დღეს ბოდლერის „ბოროტების ყვავილებს“ კითხულობდა, განაცხადა, რომ აფეთქებამ მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა და აუწერელი შიში იგრძნო პასუხისმგებლობის გაცნობიერებისას.

როცა პროექტში მონაწილეთა (ლოს–ალამოსში 1500 სხვადასხვა განხრის მეცნიერი მუშაობდა) უმრავლესობა წარმატებას ზეიმობდა და გენერალი გროუსი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მხოლოდ იგი იყო დაფიქრებული, რამეთუ მიხვდა, რომ ნებსით თუ უნებლიეთ მათ ეშმაკეული ძალები გამოიწვიეს სხვა სამყაროდან და პლანეტა აღარასოდეს იქნებოდა ისეთი, როგორიც მანამდე იყო.

უსაზღვროდ განათლებულ ოპენჰაიმერს, როგორც შემდგომ იგონებდა, აფეთქების პირველ წამებშივე გაახსენდა ციტატა „ბჰაგავად გიტადან“:

„მე ვარ სიკვდილი, სამყაროთა შესამუსრავად შემოქცეული“ (სიტყვები, რომელთაც უზენაესი ღვთაება კრიშნა ეუბნება არჯუნას). მალე ამ ყველაფერს მოჰყვა ხიროსიმა და ნაგასაკი....

არასოდეს, თვით რკინის ფარდისა და კაპიტალისტურ და სოციალ – კომუნისტური ბანაკების არნახული დაპირისპირების დროსაც კი, არ შეჰქმნია სამყაროს ისეთი დიდი საფრთხე, როგორიც ახლაა.

თუკი კაცობრიობა ახლა ძალებს და გონიერებას არ გააერთიანებს და პიროვნებები სიგიჟის ზღვარგადასულ ამბიციებს ვერ მოთოკავენ (ან იძულებით არ მოათოკინებენ!), დიდია ალბათობა, ყოვლისშემმუსვრელმა ატომბირთვულმა სიკვდილმა სოციალურ ქსელებში უღიმღამო ხსენებიდან რეალობაში გადაინაცვლოს და დედამიწაზე დადგეს არა მარკესისეული მარტოობის ასი წელი, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არამედ ბირთვული ზამთრის ათასწლეულები...

intermedia.ge

თვალსაზრისი

... ბრძოლაში დაცემული გმირის ამბროსი აღნიაშვილის შთამომავლობა ვართ და ქედს უნდა ვიხრიდეთ მისი ხსოვნის წინაშე

პოდპორუჩიკი ამბროსი მათეს ძე აღნიაშვილი, დაბადებული 1891 წელს, მოკლეს ოსმალებთან ბრძოლაში 1916 წლის 20 მარტს – გვამცნობს წარწერა საფლავის ქვაზე, რომელიც სოფ. შილდაში, მდინარე ჩელთის ჩასავალთან, ცაცხვის ქვეშ დაუდგამთ, გზის პირას, ახლად აშენებული სალოცავის მახლობლად, ღობის გარეთ.

ხშირად მიწევს ხოლმე ამ ადგილას გავლა და დიდი ხანია მაწვალებს ფიქრი, თუ რატომ უნდა დაედგათ ეს საფლავის ქვა უადგილო ადგილზე?

ბებიაჩემისგან, მაგდანა დეკანოზიშვილი-ლაფაჩიშვილისაგან, რომელიც ღრმად მორწმუნე ქალბატონი გახლდათ, მსმენია, რომ ამ ადგილზე, სადაც ახლა ცნობილი პიროვნების დავით ზუბიტაშვილის თაოსნობით აშენებული პატარა ეკლესია დგას, ადრე დიდი სალოცავი, ძელი ჭეშმარიტის ეკლესია ყოფილა, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში დაუნგრევიათ. ეკლესიის გარშემო კი პატარა სასაფლაოც ყოფილა, სადაც, როგორც წესი, გავლენიანი ადამიანები იყვნენ დაკრძალულნი.

ეკლესია კი დაუნგრევიათ, მაგრამ საფლავის რამდენიმე ქვა, მათ შორის ეს საფლავის ქვაც, კიდევ დიდხანს მდგარა თავის პირვანდელ ადგილზე. 50-იანი წლების დასაწყისში კი, როცა შილდის ე.წ. ბულვარში სამხედრო ნაწილი ჩაასახლეს, საფლავის ქვებიც მოაცილეს იქაურობას. სხვათა შორის, ეს ის სამხედრო ნაწილი გახლდათ, რომელიც ყვარელში, „კაზარმის“ ტერიტორიაზე იყო განლაგებული და დისლოკაციის ადგილი 1949 წლის მდინარე დურუჯის ღვარცოფული მოვლენების შემდეგ შეუცვალეს, რომელმაც რამდენიმე ათეული სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები შეიწირა.

იმ ადგილას, სადაც ახლა პატარა ახალი ეკლესია დგას, ფრენბურთის მოედანი იყო, გვერდით კი, ხევის პირას, საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ბავშვობაში ფეხბურთს ვთამაშობდით და ჩვენი საყვარელი გასართობი ადგილი გახლდათ. 1957-1958 წლებში ეს სამხედრო ნაწილი შილდიდან სხვაგან გადაიყვანეს და ტერიტორია კოლმეურნეობის გამგებლობაში გადავიდა. ეს ის დროა, როცა დიდი კოლმეურნეობები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კულტურის სახლების მშენებლობაში (გაიხსენეთ კინოფილმი „ჭრიჭინა“). ჰოდა, შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვასილ ცისკარიშვილი თავკაცობდა, სწორედ აქ, ყოფილი ეკლესიის ადგილზე გადაწყვიტა ახალი კულტურის სახლის აშენება. გაითხარა საძირკვლები და გაჩაღდა მიწის სამუშაოები. კარგად მახსოვს, უკვე მეათე კლასის მოსწავლე ვიყავი და ჩემი თვალით ვიხილე, საძირკვლების გაჭრის დროს როგორ ამოითხარა იქ არსებული საფლავები, როგორ შეაგროვეს და გადაყარეს მიცვალებულთა ძვლები... ხმები დადიოდა იმის თაობაზეც, რომ მიწის გამთხრელმა მუშებმა საფლავებში ოქროს სამკაულებიც იპოვესო! ერთი სიტყვით, იმით დასრულდა, რომ საბოლოოდ კულტურის სახლის აშენების იდეამ ჩაილურის წყალი დალია და აღარ აშენებულა, ადგილმდებარეობა კი დარჩა ასე გადათხრილი და გაუბედურებული.

რა თქმა უნდა, არსებული საფლავის ქვების ავან-ჩავანი აღარავინ იცის. რაც ზუსტად ვიცით, ის გახლავთ, რომ მაშინდელი ძელი ჭეშმარიტის ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოზე იყო განთავსებული ის დიდი საფლავის ქვა, რომელიც ახლა მოშორებით, ცაცხვის ქვეშ დგას და 1854 წელს კახეთში დაღესტნის იმამი შამილის შემოსევას უკავშირდება. ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაშიც, რომ ოსმალებთან ბრძოლაში დაღუპული პოდპორუჩიკის ამბროსი აღნიაშვილის საფლავის ქვაც ეკლესიის ეზოში მდებარეობდა. ვინ იცის, ეგებ საძირკვლების გათხრის დროს მისი განსასვენებელიც ვანდალურად იქნა ხელყოფილი.

აქ ლოგიკურად დაისმის კითხვა – კი მაგრამ, პოდპორუჩიკის საფლავის ქვა, რომლის არსებობის შესახებ ათეული წლების განმავლობაში არავინ არაფერი იცოდა, ახლა საიდან აღმოჩნდა იქ, სადაც ამ სტატიის დასწყისში მივუთითეთ, როგორ გადაურჩა ულმობელი დროის მსახვრალ ხელს?

არსებული ვერსიით (სხვა ვერაფერი გავარკვიეთ) ამბროსი აღნიაშვილის საფლავის ქვა წაუღია და შეუნახავს მაშინდელი სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეს, შემდგომში კი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ გულნარა აღნიაშვილს. ბარაქალა მის ქართველ ქალობას და პატრიოტულ სულისკვეთებას, ნათელი ეფინოს მის სულს იმქვეყნიურ სასუფეველში.

დავუბრუნდეთ ისევ ამ წერილის ადრესატს, ამბროსი მათეს ძე აღნიაშვილს, ოსმალებთან ბრძოლაში დაცემულ 25 წლის ვაჟკაცს. მოგეხსენებათ, ეს პირველი მსოფლიო ომის წლებია, როცა ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო და ავი თვალებით იყურებოდა საქართველოსაკენ. არავინ იცის, რა სიტუაციაში და როგორ დაიღუპა პოდპორუჩიკი, თუმცა ფაქტია, რომ შილდელი ვაჟკაცი ბრძოლის ველზე დაეცა საქართველოს ისტორიულ მტარვალთან და სისხლისმსმელ ვანდალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში (და არა ისტორიულ მეგობართან, როგორც ამას ზოგიერთი ჭკუათხელი დაა ისტორიის არმცოდნე ვაი პოლიტიკოსი ქადაგებდა). იგი სამშობლოს იცავდა, სამშობლოსათვის თავშეწირული ზვარაკია და ალბათ, სწორედ ასეთი დამსახურების გამო გადაწყვიტა შილდის იმდროინდელმა საზოგადოებამ მისი დაკრძალვა ძელი ჭეშმარიტის ეკლესიის ეზოში.

დიახ, მისი საფლავის ქვის ადგილი ეკლესიის ეზოშია და არა ეზოს გარეთ. უტყუარი ჭეშმარიტება და წმიდათა-წმინდა ვალია, რომ შთამომავლობა ღირსეულად აფასებდეს წინაპართა ღვაწლს. ჩვენ კი (და ყველა შილდელი), ოსმალებთან ბრძოლაში დაცემული გმირის ამბროსი აღნიაშვილის შთამომავლები ვართ და ქედს უნდა ვიხრიდეთ მისი ხსოვნის წინაშე.

მოვუწოდებ ყველას, ვისაც ეს ევალება და ხელეწიფება – მივაგოთ სათანადო პატივი სამშობლოსათვის დაცემული ვაჟკაცის ნათელ ხსოვნას და დავაბრუნოთ ამბროსი მათეს ძე აღნიაშვილის საფლავის ქვა ეკლესიის ეზოში!

იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!“

ალიმან ლაფაჩიშვილი

სტრეპტოციდი, ნოშპა და ციტრამონი – ეფექტურია, თუ არა ადრინდელი მედიკამენტები კვლავ?

ალბათ, ერთხელ მაინც გსმენიათ უკმაყოფილო პაციენტების ნათქვამი, ამ წამლებს ძალა საერთოდ არა აქვთო. ისიც გვსმენია, რომ ექიმის დანიშნული წამლებისგან ზოგიერთი საერთოდ არაფრის მომცემი არ არისო. ამიტომ ზოგს მხოლოდ ადრინდელი და კარგად ნაცნობი მედიკამენტების სჯერა. წამლებთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობს კითხვები და ამჯერად სწორედ ზემოხსენებულ კითხვებზე გაგვცემს პასუხს "სახალხო აფთიაქის" პარმაცევტი ნანა ხურციძე.

– ხშირად გაგვიგია გამოთქმა, "ამ წამლებს ძალა საერთოდ არა აქვს". შეიძლება პრეპარატი იმდენად უხარისხო იყოს, რომ შედეგი საერთოდ არ მოგვიტანოს?

– სწორედ დღეს მოვემსახურე მომხმარებელს, რომელმაც შემომჩივლა, რომ უკვე ორი კვირაა, ექიმის დანიშნულ წნევის დამწევ წამალს სვამს და შედეგი არა აქვს. წამალი, რომელსაც ღებულობდა, არის 24 საათიანი მოქმედების, მიიღება დილით უზმოზე, არის საუკეთესო ხარისხის. ჩავეძიე და აღმოჩნდა, რომ წამალს კი არ ყლაპავდა, ღეჭავდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ასე ეფექტს უფრო სწრაფად მიიღებდა. სინამდვილეში კი, წამლის დაღეჭვა ხელს უშლიდა მის 24-საათიან მოქმედებას, არადა ეს მომხმარებელი სწორედ ასე ამბობდა, ამ წამალს ძალა არა აქვსო.... მინდა გითხრათ, რომ წამლის ძალა დამოკიდებულია მისი მიღების წესის ზედმიწევნით დაცვაზე, მკურნალობის კურსის სრულყოფილად ჩატარებაზე, ასევე შესაძლებელია, ერთდროულად მიღებულმა წამლებმა ერთმანეთის ეფექტი შეამცირონ, მაგალითად, რკინის და კალციუმის პრეპარატის ერთად მიღება ხელს უშლის ორივეს ათვისებას.

თუ ნებისმიერი წამლის ანოტაციას ჩახედავთ, ნახავთ, რომ არის ასეთი ცნება: ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან, მაგალითად, ერთ–ერთი ტკივილგამაყუჩებელი საშუალების მიღება ამცირებს წნევის დამწევი წამლის ეფექტურობას. ასევე წამლის ძალა დამოკიდებულია მისი მიღების წესის ზედმიწევნით დაცვაზე.

მაგალითად, ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები კარგად შეითვისება, თუ მას წყლის ნაცვლად რძეს ან ფორთოხლის წვენს მივაყოლებთ.

– ექიმებიც და მშობლებიც ხშირად ახსენებენ ფრაზას – "ზედმეტი წამლები". ფარმაცევტები რას უწოდებთ ზედმეტ წამლებს? ანუ არსებობს ისეთი შემადგენლობის პრეპარატები, რომლებიც თითქმის არაფერზეა გათვლილი, არც რგებს და არც აზიანებს პაციენტს?



– მედიცინაში ზედმეტი წამლის დანიშვნას პოლიპრაგმაზია ეწოდება. შეიძლება გაგიკვირდეთ, და ხშირად ანტიბიოტიკის დანიშვნა არის პოლიპრაგმაზია, რადგან ხველა, გაცივება, გრიპი ვირუსული ინფექციაა და მასზე ანტიბიოტიკი არ მოქმედებს. მე პირადად ყოველთვის ვცდილობ, მომხმარებელს ის წამალი შევთავაზო, რომლის ეფექტურობაშიც მაქსიმალურად დაწრმუნებული ვარ და რა თქმა უნდა, რისი შეთავაზებაც ფარმაცევტის კომპეტენციას არ სცილდება.

– შეგიძლიათ გაიხსენოთ წამლები, რომლებიც ერთ დროს ძალიან პოპულარული იყო, დღეს კი თითქმის აღარავინ იყენებს. მაგალითად, ნახშირი, ნოშპა, ციტრამონი, სტრეპტოციდი. ისინი უკეთესმა ანალოგებმა ჩაანაცვლეს თუ უბრალოდ, დაივიწყეს?

– ძალიან კარგი კითხვაა. დავიწყებ სტრეპტოციდით. დაახლოებით 50 წლის წინ ეს ყველაზე პოპულარული ანტიბაქტერიული საშუალება იყო. დღესაც გვყავს მომხმარებელი, ვისაც სჯერა, რომ ყელის ტკივილი არ მოურჩება, სანამ სტრეპტოციდის აბს არ გაღეჭავს. მისი ჯადოსნური მოქმედების შესახებ დღესაც არის მითები, თუმცა ექიმები მას პრაქტიკულად აღარ იყენებენ, რადგან ახალი, უფრო ეფექტური და უსაფრთხო ანტიბაქტერიული საშუალებები გამოჩნდა. ყელის ტკივილს რაც შეეხება, ის ხშირად ვირუსული ბუნებისაა და სტრეპტოციდი კი ვირუსებზე არ მოქმედებს.

ციტრამონი – დღემდე რჩება ყველაზე პოპულარულ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად. ჩემი რჩევები ასეთია: ციტრამონი შეიცავს კოფეინს, ამიტომ თუ თქვენ უძილობა განუხებთ ან არტერიული ჰიპერტენზია, მოერიდეთ ციტრამონის ხშირად მიღებას. ასევე ციტრამონი შეიცავს აცეტილსალიცილის მჟავას, რაც კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას იწვევს.

„რას ნიშნავს ყვარელი ჩემთვის“

13 ოქტომბერი ერთი გამორჩეული და საინტერესო დღე გახდა ყვარლელთა ცხოვრებაში. ილიას მუზეუმის სააქტო დარბაზმა ლიტერატურული სალონის პრეზენტაციას უმასპინძლა. ლიტერატურულ სალონს, სახელწოდებით „ილიას გზით“ ახლახანს ჩაეყარა საფუძველი ყვარლის ცენტრალურ ბიბლიოთეკის ბაზაზე, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია ყვარლელებისთვის საყვარელი, ღვაწლმოსილი, როგორც მას მრავალი ადამიანი უწოდებს – პედაგოგთა პედაგოგი, ყვარლის საპატიო მოქალაქე, ქალბატონი ზეინაბ ჭიჭიკოშვილი.

ღონისძიებას უძღვებოდა ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ქალბატონი მაგული სააკიშვილი. ღონისძიება მეტად საინტერესოდ წარიმართა. დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ლიტერატურული სალონის იდეაზე, იმ ადამიანებზე, ვინც მის დაარსებაში გარკვეული წვლილი შეიტანა. ასევე, ლიტერატურული სალონის მნიშვნელობაზე და წარმატებები უსურვა მას.

ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის დეკანოზმა, მამა ბენიამენმა დალოცა ლიტერატურული სალონი და საკუთარი ლექსები წაიკითხა ყვარელზე.

ღონისძიების თემა იყო – „რას ნიშნავს ყვარელი ჩემთვის“, სადაც ლიტერატურული სალონის წევრებმა ნიკოლოზ ფოჩხიძემ, დიმიტრი მასხარაშვილმა, თაია გიგილოშვილმა, ცოტნე ღვთისიაშვილმა, კესო ქემოკლიძემ, ნიკა სეფაშვილმა, დიანა ონიანმა, მაკა დენტოშვილმა, გვანცა ქუსიკაშვილმა და ლუკა ტოჩილაშვილმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია, ლექსები, რომელიც თემას სრულად მოიცავდა და დამსწრეთა მოწონება და ოვაციები დაიმსახურეს.

ღონისძიებას ალამაზებდნენ, ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული მუსიკალური ტრიო „თოლია“ და ანსამბლი „ნანინა“. პატარა, ნიჭიერი მომღერალი გიორგი ბენდიანიშვილი და იზა წყალობაშვილი.

ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო ლიტერატურული სალონის მხარდამჭერებს და გულშემატკივრებს, რომლებმაც ისაუბრეს ღონისძიების თემის ირგვლივ – „რას ნიშნავს ჩემთვის ყვარელი“, წარმატებები უსურვეს ლიტერატურულ სალონს და მის წევრებს.

ქალბატონმა ზეინაბმა მადლიერება გამოხატა დამსწრე საზოგადოების მიმართ. აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის ამ სალონის დაარსება და საქებარი სიტყვები არ დაიშურა ღონისძიების მონაწილეთა მისამართით.

დასასრულს, ქალბატონმა მაგული სააკიშვილმა ლიტერატურული სალონის წევრებს საჩუქრად გადასცა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის, გივი ზაუტაშვილის მიერ გამოგზავნილი წიგნები – „შენი ვარ შვილი“ (ავტ: ვალერი ზურაშვილი).

წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ ზეინაბს და ლიტერატურულ სალონს მომავალშიც!

ია გიგიაშვილი

ამ მცენარით ღვიძლის და თირკმელების გაწმენდა და 7 ქრონიკული დაავადების დამარცხება შეიძლება – (ბაბუაწვერა)

ბაბუაწვერა არის ბალახი, რომელიც თითქმის ყველგან ხარობს. საქართველოში მისი 100 სახეობიდან, 9 სახეობა გვხვდება. მას ყველა იცნობს, მაგრამ ცოტამ თუ იცის, თუ რამდენად სასარგებლოა ის ჩვენი ჯანმრთელობისთვის. როგორც ცნობილია, ბაბუაწვერას უძველესი დროიდან იყენებენ ხალხურ მედიცინაში და ფიტოთერაპიაში.

ამ მცენარის საშუალებით ღვიძლის გაწმენდა და არაერთი დაავადების დამარცხებაა შესაძლებელი. მათ შორის, არის ეს 7 დაავადებაც, რომელიც სტატისტიკურად, ყველაზე მეტად არის გავრცელებული მსოფლიოში:

ანემია

ბაბუაწვერა 11 სახის მინერალს შეიცავს და მინერალების 100 %–იანი წილიდან, თითქმის 40%, რკინაზე მოდის. ხოლო რკინა, სისხლის ჰემოგლობინის კომპონენტია და ის უდიდეს როლს თამაშობს მისი წითელი უჯრედების ფორმირების საქმეში. ამიტომ, ბაბუაწვერას, შეუძლია, ანემიის მქონე ადამიანებისთვის, დახმარების აღმოჩენა.

ძვლების გამაგრება

ბაბუაწვერა მდიდარია კალციუმით, – მინერალით რომელიც აუცილებელია ძვლის ზრდის და სიმტკიცისთვის. გარდა ამისა, მცენარე მდიდარია ანტიოქსიდანტებითაც, რომლებიც ძვალს დაზიანებისგან იცავს.

დიაბეტი

ბაბუაწვერას წვენი ახდენს ინსულინის გამომუშავების სტიმულირებას და ამიტომ, მას დიაბეტის მქონე ადამიანებისთვის, მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა შეუძლია.

საშარდე გზების ინფექცია

ეს მცენარე კარგი საშუალებაა, საშარდე გზების პროფილაქტიკისთვის. მას შეუძლია ამ ორგანოებში ინფექციის შესაძლო განვითარების აღკვეთა და თირკმელების მავნე ნივთიერებებისგან გასუფთავება.

ღვიძლის გაწმენდა და ქოლესტერინის მაღალი დონე

ვიტამინები და საკვები ნივთიერებები, რომლებსაც ბაბუაწვერა შეიცავს, ღვიძლის საუკეთესო გამწმენდი და მისი ნორმალური ფუნქციონირების, კარგი საშუალება არის. გარდა ამისა, ის საკვების მომნელებელ სისტემაში, ნაღვლის წვენის მიწოდების პროცესსაც არეგულირებს.

საჭმლის მომნელებელი სისტემა

ბაბუაწვერა – მსუბუქი საფაღარათო საშუალებაა. ის მადასაც აღვიძებს და ნაწლავებში სასარგებლო ბაქტერიების რიცხვის დარეგულირებას ახდენს.

კანის დაავადებები

ბაბუაწვერას წვენი (აფთიაქში იყიდება) მიკრობებით და მიკროორგანიზმებით გამოწვეული კანის ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება. მას ახასიათებს ინსექციდების, ბაქტერიოციდების და ფუნგიციდების თვისებები და ამიტომ, კარგ ეფექტს იძლევა ქავილის, ეგზემის და კანის სხვა დაავადებების მკურნალობისას.

ბაბუაწვერას ექსტრაქტის შეძენა აფთიაქში შეიძლება (მისი მოხმარება არ შეიძლება ექიმთან კონსულტაციის გარეშე). მაგრამ, ამ მცენარის ნახარშის და ნაყენის მომზადება სახლის პირობებშიც არის შესაძლებელი:

ვარიანტი I – ნახარში

ონკოლოგიური დაავადების დროს, ბაბუაწვერას ექსტრაქტის ნაცვლად, მისი ფესვის ნახარშის მიღებაც შეიძლება. მომზადების წესი კი ასეთია:

I. პატარა ემალირებულ ქვაბში ჩაასხით 300 მლ. წყალი > დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ დუღილის ტემპერატურამდე.

II. როდესაც ადუღდება, დაამატეთ 10 გრ. წვრილად დაჭრილი ფესვი.

III. დადგით დასაყენებლად 2 სთ. ბნელ ადგილზე (მაგ., ჩადგით დიდ ქვაბში და სახურავი დაახურეთ).

IV. გაფილტრეთ ნაყენი დოლბანდით.

მიიღეთ 50 მლ. დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

შენიშვნა: შენახვა არ შეიძლება! ნაყენი დილით უნდა მოამზადოთ.

ვარიანტი II – ნაყენი

ამ რეცეპტით კი, ნაყენის მომზადება, საღამოს საათებში შეგიძლიათ:

I. ბაბუაწვერას 10 გრ. მშრალი მასა (ფოთოლი, ღერო) და 10 გრ. წვრილად დაჭრილი ფესვი მოათავსეთ ემალირებულ ქვაბში ან ჯამში.

II. დაასხით 400 მლ. ანადუღარი ცივი წყალი.

III. დაახურეთ თავსახური და დააყენეთ 12 სთ.

IV. გაფილტრეთ

მიიღეთ 50 მლ. დღეში – 3-4-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

ვარიანტი III – სიროფი

ინგრედიენტები:

ბაბუაწვერას ყვავილი – 300 ცალი
წყალი – 1 ლ.
შაქარი – 750 გრ.
ლიმონი – 1 ცალი

მომზადება:

I. შეაგროვეთ ყვავილები და კარგად გარეცხეთ.

II. გარეცხეთ და პატარა ნაჭრებად დაჭერით ლიმონი.

III. ინგრედიენტები შეურიეთ ერთმანეთს და დაასხით ადუღებული წყალი.

IV. ნაზავი დადგით დაბალ ცეცხლზე და ხარშეთ 30 წუთი.

V. დაახურეთ ქვაბს სახურავი და დადგით გრილ ადგილზე 24 სთ-ით.

VI. გადაწურეთ ნაყენი თუშფალანგზე (ყვავილები კარგად გაწურეთ) > ნაყენს დაამატეთ შაქარი > დადგით ცეცხლზე და ხარშეთ 1, 5 სთ.

VII. ცხელი სიროფი ჩაასხით მინის ქილებში და ჰერმეტულად დაახურეთ > გაციების შემდეგ, შეინახეთ მაცივარში.

მიიღეთ 1 ს. კ. – დღეში 3-ჯერ, ჭამამდე, 30 წუთით ადრე.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86